პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

11 ივლისი კვირა 1971

ფასი 2 კაპ.

ვაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 158 (15068)

საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის გახსნის შესახებ

საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია გაიხსნება 1971 წლის 12 ივლისს დილის 11 საათზე საქართველოს სსრ—უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების რეგისტრაცია და ცნობების გაცემა იწარმოებს 11 ივლისს 9 საათიდან 21 საათამდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, ოთახები 1 და 4. ტელეფონები: 99-08-54, 99-58-19.

12 ივლისს რეგისტრაცია იწარმოებს დილის 8 საათიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომა გაიმართება 1971 წლის 12 ივლისს დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

გავაძლიეროთ კონტროლი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საზოგადოებრივი სახსრების ხარჯვისადმი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროომ განიხილა საკითხი, თუ როგორ სრულდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სოფლის მეურნეობისათვის გათვალისწინებული სახსრების გამოყენებაში სერიოზულ დარღვევათა შესახებ“ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 6 დეკემბრის დადგენილება „კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი სახსრების აღრიცხვა-დამაკმაყოფილებლად არ წარმოების, ხოლო ბუღალტრებად მუშაობენ დაბალი კვალიფიკაციის პირები. სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობების ტრესტები და რაიონული საბჭოების აღმასკომების სოფლის მეურნეობის სამმართველოები კი ჯეროვან უურადღებას არ უთმობენ ბუღალტერთა და საანგარიშო დარგის მუშაკთა შერჩევასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ აღნიშნა, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, საბჭოთა მეურნეობებისა და ფინანსთა სამინისტროები, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორა და მათი ადგილობრივი ორგანოები ჯეროვან კონტროლს არ უწევენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობისა და სოფლის მეურნეობისათვის გათვალისწინებული საზოგადოებრივი სახსრების სწორ ხარჯვას.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, რაიონული, საქალაქო კომიტეტები, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომები არ მიმართავენ საკმარის ღონისძიებებს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფულადი სახსრების უკანონო ხარჯვის აღმოსაფხვრელად, აქტიურად არ იბრძვიან საზოგადოებრივი სახსრების ისეთი მიზნებისათვის გამოყენების წინააღმდეგ, რომლებსაც კავშირი არა აქვთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებასთან. უფრო მეტიც, არის ცალკეული ფაქტები, როცა რაიონების ხელმძღვანელები თვითონ აყენებენ კოლმეურნეობების თავმჯდომარეებსა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს საზოგადოებრივი სახსრების არასწორი ხარჯვის გზაზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა საქართველოს კომპარტიის საოლქო, რაიონულ და საქალაქო კომიტეტებს, აფხაზეთის სსრ და აჭარის სსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროებს:

— განუხრელად შეასრულონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება სოფლის მეურნეობისათვის გათვალისწინებული სახსრების გამოყენებაში სერიოზულ დარღვევათა შესახებ, რათა რესპუბლიკის ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში სახსრები ზუსტად დაგეგმილი წესით იხარჯებოდეს და ემსახურებოდეს მიწათმოქმედების ეფექტიანობის ამაღლების, სოფლის მეურნეობის პროდუქტთა წარმოებისა და დამზადების მუდმივი გადიდების მიზნებს;

— გააძლიერონ კონტროლი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობისადმი, გაზარდონ მათი ხელმძღვანელებისა და მთავარი ბუღალტრების პასუხისმგებლობა საზოგადოებრივი სახსრების სწორი ხარჯვისათვის;

— არ დაუშვან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სახსრების ხარჯვა იმ ობიექტების ასაშენებლად, რომლებსაც კავშირი არა აქვთ სოფლის მეურნეობასთან და გათვალისწინებული არ არიან საწარმოო-საფინანსო გეგმით, და მათი უსასყიდლოდ გადაცემა სხვა ორგანიზაციებისათვის;

— აუკრძალონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ეურნალ-გაზეთების გამოწერა, თეატრის, კინოს, სტადიონის ბილეთებისა და აბონემენტების შეძენა მუშებისა და კოლმეურნეებისათვის, აგრეთვე ინვენტარის ყიდვა სხვა ორგანიზაციებისათვის;

— ერთი თვის ვადაში შეამოწმონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საზოგადოებრივი სახსრების ხარჯვის მდგომარეობა და განახორციელონ გადამწყვეტი ღონისძიებანი ამ საქმეში ჯეროვანი წესრიგის დასამყარებლად.

საქართველოს კომპარტიის გალის, გურჯაანის, საგარეჯოს, ხელვაჩაურის, ხობისა და ჩხოროწყუს რაიკომებს დაევალათ განიხილონ იმ მუშაკთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს, რომ შესრულებულიყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება სოფლის მეურნეობისათვის გათვალისწინებული სახსრების გამოყენებაში სერიოზულ დარღვევათა შესახებ.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორასა და მის ადგილობრივ ორგანოებს დაევალათ არ დაუშვან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფულადი სახსრების ჩამოწერა იმ ოპერაციებზე, რომლებიც დაკავშირებული არ არის სოფლის მეურნეობის განვითარებასთან.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტს წინადადება მიეცა გააძლიეროს კონტროლი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საფინანსო საქმიანობისადმი და სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისათვის გათვალისწინებული სახსრების სწორად გამოყენებისადმი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოსთხოვა პარტიის საოლქო, რაიონულ და საქალაქო კომიტეტებს გააძლიერონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისადმი ფულადი სახსრების ეფექტიანობის ამაღლების, სოფლის მეურნეობის პროდუქტთა წარმოებისა და დამზადების მუდმივი გადიდების მიზნებს;

— გაუფრთხილებელი ხელმძღვანელობა ეაშენეს და სხვადასხვა ორგანიზაციებს გადასცეს რამდენიმე შენობა, რომელთა მშენებლობაც 682 ათასი მანეთი დაჯდა. ხელვაჩაურის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ასეთივე გზით გადასცეს საყოფაცხოვრებო მომსახურების, ვაჭრობის საწარმოებს, ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და სხვა დაწესებულებებს 885 ათასი მანეთის ღირებულების შენობები, აგრეთვე 7 ათასი მანეთის ინვენტარი.

მარტო უკანასკნელ სამ წელიწადში გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა საკუთარი სახსრებით ააშენეს და სხვა ორგანიზაციებს გადასცეს 755 ათასი მანეთის ღირებულების შენობა-ნაგებობანი.

ხელვაჩაურის რაიონის სოფელ წინსვლის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობამ 1970 წელს ააშენა მახინჯაურის კაფე-რესტორან „ნიავის“ ფილიალი. სოფელ ჩაისუბნის კოლმეურნეობაში წლეულს გთვალისწინებულია ავარკოოპკავშირის სასადილოს მშენებლობა. კარდანახის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა სწრაფი ტემპით აშენებს არასაწარმოო დანიშნულების ნაგებობას, მაშინ როცა ჯერ კიდევ შარშანწინ დაიწყო, მაგრამ ვერ დაუმთავრებია მინერალური სასუქების საწყობის მშენებლობა.

ანალოგიური ფაქტები არის გალის, საგარეჯოს, ხობისა და სხვა რაიონების მეურნეობებში.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ორგანიზაციები, რომლებიც სარგებლობენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შენობა-ნაგებობებით, საიჯარო ქირასაც კი არ იხდიან.

ზოგიერთ საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობაში სერიოზულად არღვევენ საფინანსო და საშტატო დისციპლინას, რაც უარყოფითად მოქმედებს მათს ეკონომიკაზე, ქმნის ფინანსურ სიძნელეებს.

ჩხოროწყუს რაიონის კოლმეურნეობებში, მაგალითად, დამტკიცებული შტატის გარდა ინახავენ რაიონის ფეიბურთელთა გუნდის მოთამაშეებს, რომლებსაც ყოველთვიურად უხდიან 80-90 მანეთს.

უნდა ითქვას, ზემოალნიშნულ დარღვევათა ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ბევრ საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობაში საკონტროლო-სარევიზიო მუშაობა და საბუღალტრო აღრიცხვა დამაკმაყოფილებლად არ წარმოების, ხოლო ბუღალტრებად მუშაობენ დაბალი კვალიფიკაციის პირები. სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობების ტრესტები და რაიონული საბჭოების აღმასკომების სოფლის მეურნეობის სამმართველოები კი ჯეროვან უურადღებას არ უთმობენ ბუღალტერთა და საანგარიშო დარგის მუშაკთა შერჩევასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ აღნიშნა, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, საბჭოთა მეურნეობებისა და ფინანსთა სამინისტროები, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორა და მათი ადგილობრივი ორგანოები ჯეროვან კონტროლს არ უწევენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობასა და სოფლის მეურნეობისათვის გათვალისწინებული საზოგადოებრივი სახსრების სწორ ხარჯვას.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, რაიონული, საქალაქო კომიტეტები, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომები არ მიმართავენ საკმარის ღონისძიებებს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფულადი სახსრების უკანონო ხარჯვის აღმოსაფხვრელად, აქტიურად არ იბრძვიან საზოგადოებრივი სახსრების ისეთი მიზნებისათვის გამოყენების წინააღმდეგ, რომლებსაც კავშირი არა აქვთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებასთან. უფრო მეტიც, არის ცალკეული ფაქტები, როცა რაიონების ხელმძღვანელები თვითონ აყენებენ კოლმეურნეობების თავმჯდომარეებსა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს საზოგადოებრივი სახსრების არასწორი ხარჯვის გზაზე.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტს წინადადება მიეცა გააძლიეროს კონტროლი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საფინანსო საქმიანობისადმი და სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისათვის გათვალისწინებული სახსრების სწორად გამოყენებისადმი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოსთხოვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორასა და ადგილობრივ ორგანოებს, ეფექტიანად ააწყონ ფინანსური კონტროლი, რომ სრულდებოდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება სოფლის მეურნეობისათვის გათვალისწინებული სახსრების ხარჯვაში სერიოზული დარღვევათა შესახებ და დროულად მიიღონ ზომები დარღვევათა გამოსასწორებლად.

იმისათვის, რომ ვერ უზრუნველყვეს აღნიშნული დადგენილების შესრულება და ვერ განახორციელეს ღონისძიებანი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი სახსრების არადანიშნულებისამებრ ხარჯვის აღსაკვეთად, საქართველოს კომპარტიის ჩხოროწყუს რაიკომის პირველ მდივანს ამხ. დ. კ. ჯორჯოლავასა და ჩხოროწყუს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ვ. ტ. თოდუას მიეთითათ; რაიაღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსს ამხ. გ. ა. ცირამუას გამოეცხადა საყვედური.

იმისათვის, რომ უპასუხისმგებლოდ მოეკიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 6 დეკემბრის დადგენილება — „კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი სახსრების არასწორი ხარჯვის ფაქტების შესახებ“ — შესრულებას, რაც იმით გამოიხატა, რომ არ განახორციელეს ღონისძიებანი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი სახსრების არასწორი ხარჯვის ფაქტების აღმოსაფხვრელად, ამ საქმეში ჯეროვანი ყურადღება ვერ მიაქციეს ბ. ბ. ბერიძეს, ნ. ბ. ბოდგორნოს, ა. ნ. ბოსიკინს, ს. ბ. ბურჭულაძეს, ნ. ბ. ბურჭულაძეს, ბ. ბ. ბაბალიკაშვილს, ბ. ბ. ბაბალიკაშვილს, ბ. ბ. ბაბალიკაშვილ

ქართული ლენინიანა

აი რას ამბობს ისტორია

ახალი ცნობები საქართველოსთან ვ. ი. ლენინის ურთიერთობის შესახებ

საქართველოს კომპარტიის ისტორიის მკვლევართა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და უყოთილშობილესი საქმე იყო, არის და იქნება რევოლუციურ საქართველოსთან დიდი ლენინის ურთიერთობის უმდიდრესი ისტორიის პრობლემების მეცნიერული კვლევა და გაშუქება.

ქართველმა მეცნიერებმა ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილეს მიუძღვნეს ბევრი შესანიშნავი ბროშურა, წიგნი და მონოგრაფიული გამოკვლევა, რომელთა მნიშვნელობა ნამდვილად გასცდა საქართველოს ფარგლებს.

მაგრამ, როგორც ჩანს, ქართული ლენინიანას ყველა ფურცელი ჯერაც არ ყოფილა დაწერილი. კვლევა-ძიების შედეგად ვლინდება მანამდე უცნობი ფაქტები, მასალები და დოკუმენტები, რომლებიც ახალ შუქს ჰფენენ როგორც საქართველოსთან ლენინის ურთიერთობის ამ შესანიშნავ ისტორიას, ისე თვით დიდი ბელადის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მთელ რიგ მომენტებს.

აქ გვინდა მკითხველებს გავაცნოთ ახალი ცნობები საქართველოსთან ლენინის ურთიერთობის შესახებ, რომლებიც უკანასკნელ ხანებში იქნა მიკვლეული. ეს ახალი ცნობები შეეხება **ხუთ მანამდე უცნობ ფაქტს.**

პირველი. ვ. ი. ლენინის იუბილესათვის მზადების პერიოდში საფრანგეთში გამოვიდა გამოჩენილი ფრანგი კომუნისტი მწერლის, ისტორიოსისა და პუბლიცისტის **ჟან ფრევილის** წიგნი — **„ლენინი პარიზში“.** იგი ითარგმნა რუსულ ენაზე. ამ წიგნში მოკლედ გადმოცემულია ერთი მეტად საინტერესო, ამასთან იშვიათი ამბავი, რომელიც საქართველოსთან ვ. ი. ლენინის ურთიერთობას შეეხება და მანამდე სრულიად უცნობი იყო.

საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ქალაქ ნიცის ორგანიზაციის მდივანი და „ლუმანიტეს“ კორესპონდენტი, შემდეგში თვალსაჩინო კომენისტი **ჟან ნუველი** ლენინს გასცნობია ნიცაში 1909 წელს. შემდეგ, 1912 წელს ხშირად დადიოდა პარიზში და ახლო ურთიერთობა ჰქონია ლენინთან. ჟან ნუველი გატაცებული ყოფილა რუსეთში რევოლუციური მოძრაობით და იგი 1911 წელს გამოსულა გეგმით ბოლშევიკების დასანმარებლად მათს პროპაგანდისტულ შუშაობაში. ამ მიზნით გადაუწყვეტია რუსეთში ჩამოსვლა.

იმისთვის, რომ რუსეთის მთავრობისაგან მიეღო ჩამოსვლის ვიზა, ჟან ნუველს მოუმართავს ასეთი ხერხისათვის: საფრანგეთის ერთ-ერთმა საავკეთო საზოგადოებამ, რომელიც ხე-ტყით ვაჭრობდა, ჟან ნუველს გაუკეთა საბუთი, რომ თითქოს მას, როგორც ხეტყით მოვაჭრეს, დავალებული აქვს ჩავიდეს საქართველოში და შესყიდვის მიზნით შეამოწმოს ქუთაისის გუბერნიაში არსებული ტყეები, კერძოდ —დიდი გეგუთის, ბორის და საერთოდ ოზურგეთის მაზრის ტყეები. შეადგინოს აქტები ამ ტყეების მდგომარეობის შესახებ მათ მესაკუთრეთა ხელმოწერით.

მართლაც, ამ საბუთის საფუძველზე ჟან ნუველმა მიიღო საქართველოში ჩამოსვლის ვიზა. გამომგზავრების წინ, 1912 წლის აპრილში ნუველს შეუფლია პარიზში მარი როზის ქუჩაზე მცხოვრებ ლენინთან წინასწარ დათქმული დავალების მისაღებად. ლენინს მისთვის გამოუტანებია საიდუმლო პაკეტი, რომელიც ნუველს ჩაუკერებია შარვლის ბოლო გადმონაკეცში და ასე ჩამოუტანია საქართველოში. ლენინის დავალების შესრულების შემდეგ ჟან ნუველი ეჭვსი თვე დარჩენილა საქართველოში. ძს დიდი პატივისცემით შეხვედრიან ქართველი ბოლშევიკები. იგი თურმე ისეთ პატივში ყოფილიათ, რომ მას „არ ახარჯვინებდნენ ფულს კვებისათვისაც“.

ჟან ნუველი გარდაიცვალა 1950 წელს. მისმა მეუღლემ მარი ნუველმა თავისი ქმრის საქართველოში ლენინის დავალებით მოგზაურობის შესახებ მოკლე მოგონება და ზოგიერთი დოკუმენტი გამოაქვეყნა ქალაქ ნიცის გაზეთ „პატრიოტში“ 1955 წლის 22 აპრილს.

ჩვენ მიერ მოპოვებულ იქნა ეს გაზეთი, რითაც გამოირკვა ზოგი სხვა ახალი ფაქტი და ყველა ამის მიხედვით გამომუშავდა ვარაუდები, რომელთა მიმართულებითაც გრძელდება კვლევა-ძიება.

იბადება კითხვა, რატომ გადაწყვეტა ჩამოსვლა ნუველმა სწორედ ქუთაისში და ისიც ვითომ ტყეების შესასყიდად?

ჩვენი აზრით, ეს ამბავი დაკავშირებული უნდა იყოს პარიზში მყოფი ქუთაისის ყოფილი გუბერნატორის რევოლუციონერ **ვ. სტაროსელსკის,** სახელთან. ცნობილია, რომ ვ. სტაროსელსკი 1907 წლიდან ბოლშევიკი იყო და ახლო ურთიერთობა ჰქონდა ლენინთან. ცხადია, მან კარგად იცოდა, რომ ქუთაისის გუბერნიაში იყო ტყის მასივები, რომლითაც ვაჭრობდნენ მათი მეპატრონეები. ბევრ საზღვარგარეთის ფირმას გაჰქონდა აქედან ხე-ტყე. უნდა ვიფიქროთ, რომ, როცა ლენინთან საიდუმლო თათბირზე განიხილავდნენ საკითხს ჟან ნუველის რუსეთში გამოგზავნის შესახებ, სწორედ სტაროსელსკის შეეძლო მიეცა რჩევა, რომ ამ წამოსვლის საბაბად დაესახათ ქუთაისის გუბერნიაში ვითომ ტყეების შესყიდვის განზრახვა. ვ. სტაროსელსკის შეეძლო აგრეთვე დაესახელებინა ჟ. ნუველისათვის, თუ ვისთან მისულიყო იგი ქუთაისში, ვისთვის გადაეცა ლენინის წერილი, მიეცა მისთვის საიმედო მისამართები. ვ. სტაროსელსკი ქუთაისის გუბერნატორად ყოფნისას ხომ უშუალოდ იყო დაკავშირებული ადგილობრივ ბოლშევიკებთან, ახლოს იცნობდა მათ.

ამ მოსაზრებას განამტკიცებს შემდეგი ფაქტიც: მარი ნუველის მოგონებაში ნათქვამია, რომ პარიზში შეიქმნა პარტიული წრე. იგი ჩამოთვლის ამ წრის წევრებს სახელისა და გვარის მოხსენიებით, მხოლოდ ორ შემთხვევაში არ ახსენებს სახელსა და გვარს და მათ მაგივრად წერია—ფოტოგრაფი და ფარმაცევტი. ვინმე ფარმაცევტი სხვა ადგილსაც არის ნახსენები, როგორც ისეთი პირი, რომელიც ახლო ურთიერთობაში იყო ლენინთან. რაც შეეხება ფოტოგრაფს, ჩვენი აზრით, ის უნდა იყოს ვ. სტაროსელსკი. არსებული დოკუმენტების მიხედვით, ვ. სტაროსელსკი, რომელსაც, როგორც რევოლუციონერს, დაპატიმრებას უპირებდა მეფე ნიკოლოზ მეორე, გაიქცა პარიზში, იქ გახსნა პატარა ფოტოგრაფია, თვითონ ფოტოგრაფობდა და ამით ირჩენდა თავს (მას ფოტოგრაფს ეძახდნენ).

მართალია, ჯერჯერობით არ ვიცით ვის გადასცა ჟ. ნუველმა ლენინის წერილი, რა იყო მისი შინაარსი, რას აკეთებდა იგი მთელი ექვსი თვე საქართველოში, მაგრამ, რაც მთავარია, ჩვენ ახლა შევიტყეთ სრულიად ახალი ფაქტი და იშვიათი შემთხვევა, რომ **ფრანგმა სოციალისტმა საქართველოში ჩამოტანა ვ. ი. ლენინის საიდუმლო წერილი ქართველი ბოლშევიკებისადმი.**

მომავალი კვლევა-ძიება სრულ ნათელს მოჰფენს ამ იშვიათი ამბავის უფრო კონკრეტულ გარემოებას.

მეორე უკანასკნელ დრომდე ჩვენ ვიცოდით, რომ ლენინის შრომების თარგმნა ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიოს ხალხებმა დაიწყეს სხვადასხვა დროს. კერძოდ, ლენინის ერთი სტატია **„თვითმპყრობელობა ირყევა“** პირველად ქართულ და სომხურ ენებზე ითარგმნა და ერთდროულად დაიბეჭდა გაზ. **„პროლეტარიატის ბრძოლის“** 1903 წლის აპრილ-მაისის ნომრებში. ამის საფუძველზე ჩვენ წამოყენებული გვქონდა დებულება, რომ ქართველებმა **ერთერთმა** პირველებმა იწყეს ლენინის შრომების თარგმნა. ჩვენ ვიცოდით აგრეთვე, რომ ამავე წელს გამოიცა ქართულ ენაზე რუსული ბროშურა **„სიტყვები ნიეგეროროდის მუშებისა, თქმული სასამართლო წინაშე“,** რომლის წინასიტყვაობა ლენინის მიერ იყო დაწერილი. ამრიგად, ეს ითვლებოდა ლენინის შრომების ქართულ ენაზე თარგმნის მეორე შემთხვევად.

ახლა გამოირკვა ახალი ფაქტი, **რომელიც არსებითად ცვლის ლენინის შრომების საერთოდ სხვა ენაზე და, კერძოდ, ქართულ ენაზე თარგმნის თარიღს.**

სქემე შემდეგშია: პროფესორ **ზნაიდა გეგეშიძეს** საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივში მიაკვლია მანამდე უცნობ დოკუმენტს. ეს არის შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის საოლქო ფოსტა-ტელეგრაფის უფროსის მერი თბილისის გუბერნატორისათვის გაგზავნილი საიდუმლო წერილი, რომელიც დათარიღებულია 1903 წლის 26 თებერვლით. წერილში ნათქვამია, **გიგზავნით „ორ ცალ ბროშურას ქართულ ენაზე ნიეგეროროდის მუშებისას“**—ამ წერილთან ერთად საარქივო საქმეში ჩაკერებულია ზემოთ დასახელებული ბროშურა ქართულ ენაზე.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ ეს ქართულად გამოცემული ბროშურა ლენინის წინასიტყვაობით უკვე 1903 წლის თებერვალში ვრცელდებოდა საქართველოში. მაგრამ, ცხადია, ბროშურა თებერვალში რომ გავრცელებულიყო, ჯერ ის უნდა ითარგმნათ, მერე დაებეჭდათ არალეგალურად, ამას ხომ დრო უნდოდა. გამოდის რომ დასახელებული ბროშურა თარგმნილი უნდა იყოს 1903 წლის დამდეგს; ესეც არ იყოს, ფაქტია, რომ ბროშურა ლენინის წინასიტყვაობით 1903 წლის თებერვალში უკვე არსებობს ქართულ ენაზე.

აქედან კეთდება ახალი დასკვნა: ქართველებს არა ერთ-ერთი პირველთაგანს, არამედ ჩვენი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს ყველა ხალხთა შორის სწორედ ქართველებს დაუწყიათ **პირველად** ვ. ი. ლენინის შრომების თარგმნა და გამოცემა. ეს ძალიან ბევრის მთქმელი ფაქტია, რითაც ჭეშმარიტად შეუძლია იამაყოს ქართველმა ხალხმა.

მესამე. უკანასკნელ დრომდე ცნობილი იყო, რომ რსდმპ თბილისის კომიტეტი გაზეთ **„ისკრის“** რედაქციაში გზავნიდა თავის გამოცემულ პროკლამაციებს და რომ ერთ-ერთ ასეთ პროკლამაციას რედაქცია გაუკეთა ლენინმა. ახლა ასეთ ფაქტებს ახალი ნათელი მოეფინა. ამ დღეებში გამოვიდა ვ. ი. ლენინის ბიოგრაფიული ქრონიკების ათტომეულის პირველი ტომი, რომელშიც ნათქვამია, რომ ვ. ი. ლენინმა 1901 წლის 1 სექტემბერს წაიკითხა რსდმპ თბილისის კომიტეტის მიერ 1901 წლის 10 აგვისტოს გამოცემული პროკლამაცია. ამავე წლის 25 ნოემბერს წაუკითხავს თბილისის კომიტეტის მიერ ამავე წლის სექტემბერში გამოცემული პროკლამაცია. 1901 წლის 12 ნოემბერსა და 6 დეკემბერს შუა ლენინს დასაბეჭდად გაუმზადებია თბილისიდან მიღებული ვრცელი კორესპონდენცია, რომელშიც აღწერილია მუშათა მოძრაობის ფაქტები, რომელთაც ადგილი ჰქონდა საქართველოში 1901 წლის იანვრიდან ოქტომბრამდე. ლენინს ამ კორესპონდენციაში შეუტანია შესწორებები და დაუბეჭდავს „ისკრაში“.

1903 წლის დამდეგს ლენინს მიუღია რსდმპ თბილისის კომიტეტის პროკლამაცია, გაუკეთებია მისთვის რედაქცია, ტექსტში შეუტანია შესწორებები და დაუბეჭდავს „ისკრის“ 1903 წლის 1(14) თებერვლის ნომერში. პროკლამაციის ტექსტს წინ უძღვის ლენინის ხელით დაწერილი შემდეგი სტრიქონები:

„თბილისი. რუს. სოც.-დემ. მუშ. პარტიის აქაურმა კომიტეტმა გამოუშვა შემდეგი შინაარსის ნაბეჭდი პროკლამაცია“. განსაკუთრებით საინტერესოა ორი უკანასკნელი ფაქტი, რომელიც საერთოდ დღემდე უცნობი იყო.

მეოთხე. ჩვენ მიერ დადგენილი იყო, რომ ქართველმა რევოლუციონერებმა. ლენინთან მიწერ-მოწერა დაიწყეს 1901 წლის მეორე ნახევრიდან და რომ პირველი ქართველი, რომელმაც ეს მიწერ-მოწერა გააჩაღა, იყო **ლადო კეცხოველი.** მის შემდეგ კი ლენინთან მიწერ-მოწერას ეწეოდა **მ. დავითაშვილი,** შემდეგ **ი. სტალინი, მ. ცხაკაია,** უფრო გვიან **ა. ენუქიძე** და სხვები.

ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით კეთდებოდა დასკვნა, რომ ადელ ენუქიძემ ლენინთან მიწერ-მოწერა დაიწყო პირველი მსოფლიო ომის წინა ხანებში, არა უადრეს 1912 წლისა. **ახალი მასალებისა და დოკუმენტების მიხედვით ეს თარიღი უნდა გადაიწიოს მთელი 10 წლით — 1902 წლისათვის.**

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა სამ ტომად გამოსცა „ვ. ი. ლენინისა და გაზეთ „ისკრის“ რედაქციის მიწერ-მოწერა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან რუსეთში“. 1-ლ ტომში გამოქვეყნებულია **ა. ენუქიძის** სამი წერილი „ისკრის“ რედაქციისადმი და **ნ. კრუპსკაიას** ოთხი წერილი ა. ენუქიძისადმი. რა თქმა უნდა, „ისკრის“ რედაქციაში გაგზავნილი წერილები ლენინისადმი იყო მიმართული, ხოლო ნ. კრუპსკაიას სამასუხო წერილები ვ. ი. ლენინის დავალებით იყო დაწერილი. ამიტომ **ა. ენუქიძის ეს მიწერ-მოწერა არსებითად ლენინთან მიწერ-მოწერა იყო.** ამის შესახებ თვითონ ა. ენუქიძე ერთ-ერთ თავის მოგონებაში წერდა:

„ჩვენ მაშინ ვიცოდით, რომ, გვქონდა რა გაზეთ „ისკრასთან“ ქავშირი და მიწერ-მოწერა, ჩვენ სწორედ ამით მიწერ-მოწერა გვქონდა ამხანაგ ლენინთან“. ამ აზრს განამტკიცებს ის გარემოებაც, რომ ა. ენუქიძისათვის ნ. კრუპსკაიას მიერ გამოგზავნილ ერთ-ერთ წერილში ვ. ი. ლენინის მიერ ჩამატებულია ერთი სტრიქონი.

1902 წლის 14 სექტემბერს ა. ენუქიძე თავის ვრცელ წერილში ნ. კრუპსკაიას ატყობინებდა, რომ „ისკრის“ აქ ბეჭდვისათვის არ ყოფნით თანხები, რომ „მუშაობა გვიხდება შემთხვევითი თანხებით, ხოლო ასეთი ძალიან (ოცთა“-ო. 27 სექტემბერს ნ. კრუპსკაიამ სამასუხო წერილში ა. ენუქიძეს აცნობა, ვეცდებიო ერთი ათასი გაგზავნოთ 15-15 ფუთი ლიტერატურაო. „ხარჯებს ჯერჯერობით ჩვენს თავზე ვიღებთ, მაგრამ ფულის მხრივ ჩვენ ძალიან ცუდად გვაქვს საქმე, ამიტომ ეცადეთ სასწრაფოდ მოაგვაროთ ფულის საქმე“. ამ სიტყვების შემდეგ ლენინის ხელით ხაზგასმით მიწერილია ასეთი სიტყვები: „კიდევ მიემატოს უფრო ეფექტიანად ფულის შესახებ“. ვ. ი. უფრო მეტად იზრუნეთ თანხების ადგილზე შეგროვებისათვისო.

მეხუთე. ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეხუთე გამოცემაში და ლენინის კრებულების XXXVII ტომში გამოქვეყნდა ლენინის მანამდე უცნობი რამდენიმე წერილი და დეპეშა, რომლებშიც ლაპარაკია იმაზე, რომ სტუდენტ **ს. ი. ბოტინს** ჯერ კიდევ 1916 წელს თბილისში უწარმოეზია ცდები შორ მანძილზე რადიოტელეფონის საშუალებით ყუმბარის აფეთქებისათვის. შემდეგ ამ ცდების განმეორება დაუწყია მოსკოვში 1920 წელს, ცხადია, ლენინი დიდად დაინტერესებულა ამ მნიშვნელოვანი სამხედრო გამოგონებით და აი, ამასთან დაკავშირებით ვიგებთ, [illegible] ბოტინთან [illegible] ისაც უნდა [illegible] ამ საქმისათვის.

[illegible] ლენინი რსფსრ ფოსტა-ტელეგრაფის სანალოგო კომისარიატის კოლეგიის წევრს ა. მ. ნიკოლაევს სწერდა: **„მიეცით თუ არა თქვენ დავალება ბოტინს გაიმეორებინა თბილისის ცდა?“.** ა. ნიკოლაევს უპასუხნია ლენინისათვის — **„გარკვევით და კატეგორიულად დავალება ბოტინს გაიმეოროს თბილისის ცდა... ამ მიზნით სპეციალურად სასწრაფოდ მოხსნილი იქნა იმ ტიპის, სამხედრო რადიოსადგური, როგორიც ქ. თბილისში იყო. ბოტინი დაგვპირდა, რომ მის ხელთ არსებული მასალების მიხედვით რამდენიმე დღეში გაიმეორებს თბილისის ცდას“.** 1920 წლის 14 ოქტომბერს ლენინი წერილს უგზავნის გ. მ. კრიჟანოვსკის და ავალებს მას: **„ხომ არ შეიძლება აიძულოთ იგი (ბოტინი, ვ. ე.), დაწეროს დაწვრილებით, ძალიან დაწვრილებით თბილისის ცდის შესახებ“.** ვ. ი. ლენინის მოთხოვნით სამხედრო გამომგონებელ ა. ბოტინს შეუქმნეს ყველა საჭირო პირობა, მაგრამ, როგორც ჩანს, მან ვერ შეძლო თავისი ჩანაფიქრის განხორციელება.

საგულისხმოა, რომ ამავე პრობლემაზე მოსკოვში მუშაობა დაიწყო ქართველმა სამხედრო გამომგონებელმა **ვლადიმერ ბეჭაურმა,** რომელსაც ლენინის მითითებით მიეცა სახსრები, ლაბორატორიები. ბეჭაურმა შექმნა განსაკუთრებული საგამომგონებლო ბიურო და განახორციელა კიდეც რადიომაგნიტური ტალღებით შორეულ მანძილზე ნაღმების აფეთქება. ეს ცდები სპეციალისტებისა და მთავრობის წევრების თანდასწრებით მან ჩაატარა 1924 წელს, შემდეგ 1927 წელს. მიღებული იქნა შესანიშნავი შედეგები. ვ. ბეჭაურის ეს გამოგონება აღიარებული იქნა და შევიდა საბჭოთა არმიის შეიარაღებათა არსენალში. ახლა ცნობილია, რომ ნაღმების შორ მანძილზე აფეთქების ეს ხერხი წარმატებით იქნა გამოყენებული დიდ სამამულო ომში გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ.

ჩვენ ვფიქრობთ, აქ მოთხრობილი ამბავი კიდევ უფრო ავსებს ისედაც მდიდარ და უკვე საყოველთაოდ ცნობილ ქართულ ლენინიანას.

ვ. ესაიაშვილი,
პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

საზეიმო სხდომა ულან-ბატორში

ულან-ბატორი, 10 ივლისი (საკდესის სპეც. კორ.). დღეს აქ გაიმართა მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს, მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ულან-ბატორის საქალაქო კომიტეტისა და რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელთა დეპუტატების ხურალის აღმასკომის საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა მონგოლეთის სახალხო რევოლუციის 50 წლისთავს.

სხდომის პრეზიდიუმში იყვნენ მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცედენბალი, მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჟ. სამბუ და მონგოლეთის სხვა ხელმძღვანელები. პრეზიდიუმში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი და საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები, რომელთაც იგი მეთაურობს, აგრეთვე სხვა ქვეყნების წარმომადგენლები.

მოხსენება „მონგოლეთის სახალხო რევოლუციის ორმოცდაათი წელი“ გააკეთა ი. ცედენბალმა.

მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით ი. ცედენბალმა გულმხურვალედ მიულოცა რესპუბლიკის ყველა მშრომელს დიადი დღესასწაული — სახალხო რევოლუციის 50 წლისთავი.

მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დიდი ოქტომბრის გავლენით დ. სუხე-ბატორმა, ხ. ჩოიბალსანმა და სხვა მონგოლელ რევოლუციონერებმა შექმნეს მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტია, რომელიც სათავეში ჩაუდგა მონგოლი ხალხის ბრძოლას ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის.

ლენინური მოძღვრების შესაბამისად პარტიამ თავის გენერალურ ხაზად გამოაცხადა განვითარების კაპიტალისტური სტადიის გაუვლელად ფეოდალიზმიდან სოციალიზმში მონგოლეთის გადასვლის უზრუნველყოფის პოლიტიკა. პარტიის ამ გენერალურმა ხაზმა სავსებით გაამართლა, და სოციალიზმი რეალური სინამდვილე გახდა მონგოლეთის მიწა-წყალზე.

მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტია, ვანაგრძო ი. ცედენბალმა, ძალ-ღონეს იკრებდა და იკრებს მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე იდეებისაგან, მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობასთან, მის მოწინავე რაზმთან — საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან და სხვა მარქსისტულ-ლენინურ პარტიებთან განუყრელი კავშირ-ურთიერთობისაგან.

მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკა ემხრობა სხვადასხვა პოლიტიკური წყობილების სახელმწიფოთა თანამშრომლობის განვითარებას საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, სხვადასხვა კონტინენტის ხალხთა კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფისათვის, მასობრივი მოსპობის იარაღის წარმოებისა და გამოცდის აკრძალვისათვის. მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა გულმხურვალედ მიესალმება და მხარს უჭერს სსრ კავშირის მთავრობის ამასწინანდელ განცხადებას ხუთი ატომური სახელმწიფოს კონფერენციის მოწვევის საკითხზე.

ჩვენ აგრეთვე მხარს ვუჭერთ მოძმე სოციალისტური ქვეყნებისა და მათი კომუნისტური პარტიების ღონისძიებებს ევროპის უშიშროების საკითხებზე თათბირის მოსაწვევად.

დასასრულ მომხსენებელმა გამოთქვა მჯერეი რწმენა, რომ მონგოლეთის მუშათა კლასი, სოფლის მშრომელები და სახალხო ინტელიგენცია მთელ თავიანთ ძალ-ღონეს მოახმარენ იმას, რომ ამრავლონ სოციალისტური სამშობლოს — მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდებული მონაპოვარნი.

სოციალიზმის მშენებლობაში, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის საერთაშორისო ავტორიტეტის განმტკიცებაში უდიდესი წვლილი ეკუთვნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით, ჩვენი ქვეყნების ტრადიციული მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის განუხრელი განმტკიცებისა და განვითარების ურყევი საფუძველია, შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების მძლავრი ფაქტორია.

საბჭოთა კავშირ-მონგოლეთის ურთიერთობის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენს ქვეყანაში მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიტს ამხანაგ ი. ცედენბალის მეთაურობით 1970 წლის ოქტომბერში. მოლაპარაკების მსვლელობაში განვილილი საბჭოთა კავშირ-მონგოლეთის 1971-1975 წლების თანამშრომლობის დიდმნიშვნელოვანი საკითხები.

ახალი ხუთწლეული სოციალისტური თანამეგობრობის ისტორიაში შევა როგორც წარმოების სრულყოფის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების რაც შეიძლება სრულად გამოყენების საფუძველი ეკონომიური ეფექტიანობის ამაღლებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის დიდმნიშვნელოვანი ეტაპი.

სოციალისტური თანამეგობრობა, განაგრძო ა. ნ. კოსიგინმა, აერთიანებს ქვეყნებს, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მოსახლეობის რიცხვით, ტერიტორიის ფართობით, ეკონომიური პოტენციალით. მაგრამ ჩვენთვის; კომუნისტ-ინტერნაციონალისტებისათვის, ეს არ შეიძლება იყოს საფუძველი მათი სხვადასხვაგვარი ურთიერთობისათვის, იმისათვის, რომ ხელოვნურად დავყოთ ქვეყნები მათი პოლიტიკური მნიშვნელობის მიხედვით დიდ და პატარა ქვეყნებად. ჩვენი ერთიანობის მოწინააღმდეგენი ყოველნაირად ცდილობენ დაუპირისპირონ ქვეყნები ერთმანეთს მათი სოციალური წყობილების მიუხედავად. ასეთ არაკლასობრივ მიდგომას საერთო არა აქვს რა რეალურ სინამდვილესთან, საერთო არა აქვს რა მარქსიზმ-ლენინიზმთან, იმ ამოცანებთან, რომლებსაც სოციალიზმისა და იმპერიალიზმის ძალებს შორის ბრძოლაში ვწყვეტთ.

ჩვენ კარგად ვიცნობთ და დიდად ვაფასებთ იმას, თუ რა პარტიული პრინციპულობითა და გულდაჯერებით ზრუნავენ მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიურო და პირადად ამხანაგი ი. ცედენბალი საბჭოთა კავშირ-მონგოლეთის მეგობრობის, მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ერთიანობის განმტკიცებისათვის და საკადრის პასუხს სცემენ იმათ, ვინც ცდილობს ხელი შეუშალოს ჩვენს ურთიერთობას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას. ხაზგასმით აღნიშნა ა. ნ. კოსიგინმა, თავის ინტერნაციონალურ მოვალეობად მიაჩნია ყოველი ღონისძიებით შეეწყოს ხელი სოციალიზმის მსოფლიო სისტემის ძლიერების შემდგომ ზრდას, სოციალისტური ქვეყნების ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცებას.

საბჭოთა კავშირი და მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკა ნახევრის საუკუნეა მხარდამხარ მიდიან მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, სოციალიზმისათვის, მშვიდობისათვის, ხალხთა ნთელი მომავლისათვის ბრძოლის დრმით. ამ გზაზე გამოიწრთო ჩვენი ძმური მეგობრობა, და საბჭოთა ხალხი თვალისჩინივით გაუფრთხილდება ამ მეგობრობას, განამტკიცებს მას როგორც ყოველი ჩვენგანისათვის ძვირფას მონაპოვარს — საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური მონგოლეთის მშრომელთა მონაპოვარს, განაცხადა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეთაურმა.

ამხანაგების ი. ცედენბალისა და ა. ნ. კოსიგინის სიტყვები დიდი ყურადღებით მოისმინეს და ხშირად გაისმოდა ტაში.

როგორც სიმბოლო საბჭოთა კავშირ-მონგოლეთის მეგობრობისა ა. ნ. კოსიგინმა გადასცა ი. ცედენბალი მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმსა და მინისტრთა საბჭოს ქანდაკება „ვ. ი. ლენინის შეხვედრა დ. სუხე-ბატორთან“.

ა. ნ. კოსიგინმა გადასცა ი. ცედენბალს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება. დარბაზში ქუხს ოვაცია. გაისმის შეძახილები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის, მონგოლეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის სადიდებლად.

მონგოლეთის სახალხო რევოლუციის 50 წელი

საზეიმო სხდომა

დღეს მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკა აღნიშნავს ისტორიულ თარიღს — მონგოლეთის სახალხო რევოლუციის 50-ე წლისთავს.

 სურათზე: ულან-ბატორის ახალი საცხოვრებელი კვარტალები.

ფოტო მონცამე-საკდესისა.

გაანახლებული მიწა

რევოლუციამდელ მონგოლეთში მთელი მიწა და პირუტყვის ძირითადი მასა ფეოდალების საკუთრებაში იყო. მომთაბარე მეცხოველეობა პრიმიტიული წესით წარმოებდა.

სახალხო ხელისუფლების არსებობის მანძილზე ძირეული ცვლილებები მოხდა მონგოლი არატების ცხოვრებაში. ერთპიროვნული მეურნეობები თანდათან გადაიქცნენ მსხვილ ყოფილ კოოპერაციულ გაერთიანებებად.

დღევანდელი სახელმწიფო მეურნეობები თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სოციალისტური საწარმოებია. საშუალოდ ერთ სახელმწიფო მეურნეობაზე მოდის 190 ათასი ჰექტარი სავარგული, 10 ათას ჰექტარზე მეტი ნათესი, 142 ტრაქტორი, 39 ათასამდე პირუტყვი.

სოფლის მეურნეობა მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის წამყვანი დარგია, მეცხოველეობა კი ხალხის ეროვნული დღეგრძლობის ძირითადი წყაროა. პირუტყვის სულადობა ამ 50 წლის განმავლობაში ორჯერ გაიზარდა. ახლა ქვეყანაში 22.575 ათასი სული პირუტყვეა.

ტელეტაიპის ლენტიდან

● **სან-ფრანცისკოს** საოლქო ფედერალურმა მოსამართლემ ს. კონტიმ მიიღო გადაწყვეტილება დაუბრუნოს ქალაქ სან-რაფელის (კალიფორნიის შტატი) სასამართლოს ანჯელა დევისის „საქმე“. ამ შეთითხნილი „საქმის“ ფედერალურ სასამართლოში გადაცემა მოითხოვეს ანჯელა დევისის ადვოკატებმა. ისინი აღნიშნავდნენ, რომ სან-რაფელის სასამართლოს, რომელიც კალიფორნიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ. მოხსენება მოუწოდებს არაბულ სახელმწიფოებს გაუდიდონ ფინანსური დახმარება პალესტინის წინააღმდეგობის მებრძოლებს.

● **პორტუგალიის** დელეგაციამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხთა ორგანიზაციაში (იუნესკო) სამდივნოს ჩააბარა თავისი წარმომადგენლობის გასაღები.

პორტუგალიის წარმომადგენელმა იუნესკოს გენერალურ დირექტორს რენე მაიოს გადასცა თავისი მთავრობის წერილი, რომელშიც ოფიციალურად ატყობინებენ, რომ პორტუგალია გამოდის ამ ორგანიზაციიდან. ეს ნაბიჯი გადადგეს იმასთან დაკავშირებით, რომ იუნესკომ დაგმო პორტუგალიის კოლონიური პოლიტიკა აფრიკაში, და ამას არავითარი კამკამი არ გამოუწვევია ამ ორგანიზაციის წრეებში.

● **ინგლისში** ძლიერდება მოძრაობა ამერიკელი კომუნისტის ანჯელა დევისის დასაცავად. სატონში (სურეის საგრაფო) გამართული მრავალთასიანი მიტინგის მონაწილეებმა გადაწყვიტეს შექმნან ანჯელა დევისი დაცვის კომიტეტი და იბრძოლონ მისი დაუყოვნებლივი განთავისუფლებისათვის.

ფაქტები

სტიქიური უბედურება

მეგობრის სასთუმალთან

კობა ჩოხელის გარდაცვალების გამო

ვარდაიცვალა საკოლმეურნეო მოძრაობის ლეგენდარული გმირი კობა ჩოხელი.

კობასთან ორმოცდაათი წლის მეგობრობა მაკავშირებდა, ავადმყოფობის დროსაც მისი ხშირი სტუმარი ვიყავი, სასთუმალთან ვჯიქე და ვიგონებდით ძველსა თუ ახალს, იგი მიყვებოდა ამბებს თავისი ცხოვრებიდან.

მინდა დღეს კიდევ გავიხსენოთ ამ ვალმოხდილი ადამიანის ღვაწლი სამშობლოს წინაშე, რათა დღევანდელმა ახალგაზრდობამ და მომავალმა თაობამ ღირსეულად დააფასონ მამა-პაპათა მემკვიდრეობა.

კობას მშობლები ხარსილ ჩოხელი და ქალთამზე ბუბუნაური დუშეთიდან იყვნენ, სოფელ ჯულისიდან. ხარსილიც მამა-პაპასავით მეცხვარეობას მისდევდა. კობა ჯერ დაბადებული არ იყო, რომ მისი მამა მოაში ზვავმა ჩაიტანა.

ოჯახს თანდათან გაუჭირდა ცხოვრება და დედა იძულებული გახდა შვილები მოჯამაგირეებად დაეყენებინა. კობაც ჯერ ათი წლისაც არ იყო, მოჯამაგირედ რომ დაუყენეს იქაური მდიდარ მეცხვარეს და თვალცრემლიანი გააყოლეს ცხვარს შირაქის საზამთრო საძოვრებისაკენ.

ცამეტი წელიწადი გაატარა კობამ მოჯამაგირეობაში, ოთხი-ხუთი წელიწადი მეფის ჯარში იმსახურა და მსოფლიო ომის ქარიშხალმაც მის თავზე გადაიარა. მერე რევოლუცია, ახალი ცხოვრების დამკვიდრებისათვის ბრძოლა, შრომა...

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კობა ზემო ქედის რევკომის თავმჯდომარედ ინიშნება, სადაც დუშეთისა და თიანეთის მთიანი სოფლებიდან ვაუაფშაველას მიერ ჩაქოსახლებული გლეხობა ცხოვრობდა.

ცხოვრებას ვიტყუჯით, თორემ რა ცხოვრება იყო: ბნელ გომურებსა და ლასტის ქოხმახებში დღედაღამ ერთად ეყარა ხალხი და საქონელი. იქით ბრაქი ბოლავდა, აქეთ შუაცეცხლი. ზაფხულში მტვერი ახრჩობდა კაცს, ზამთარში გაუვალი ტალახი. დასამუშავებელი მიწები კი, იცოცხლე, ბევრი იყო, მაგრამ მუშა საქონელი ჭირდა. ახლა ათასობით ტრაქტორი და კომბაინი ვერ აუდის შირაქის ბარაქიან ველ-მინდვრებს, მაშინ რა იქნებოდა. მიწა იმისი იყო, ვისაც მუშა საქონელი ჰყავდა.

კობა ჩოხელმა იფიქრა, ასე ცხოვრება არ გამოგვადგებაო, ამ სოლარიბიდან ვერ ამოვალთ, თუ რამ არ ვიღონეთო, და გადაწყვიტეს დაეარსებინათ კომუნა.

...და აი 1926 წლის 20 იანვარს შედგა პირველი დამფუძნებელი კრება, რომელმაც მიიღო კომუნის წესდება.

კომუნის წესდებით უქმდებოდა ყოველგვარი კერძო საკუთრება. ორი ხელი ლოგინი თუ გქონდა, ერთი იმისათვის უნდა მიგეცა, რომელსაც სულ არა ჰქონდა, ორი ხელი ტანისამოსი თუ გქონდა, ერთი იმისათვის უნდა მიგეცა, ვისაც ის შენზე მეტად უჭირდა.

კომუნის წევრებს დაძმურად უნდა ეცხოვრათ, მათი შეუღლება სასტიკად იყო აკრძალული.

კომუნის წევრს თუ სტუმარი მოუვიდოდა, სამ დღეს შეიძლებოდა ჰყოლოდა, სამი დღის შემდეგ ან უნდა წასულიყო, ან სხვა წევრებთან ერთად გასულიყო სამუშაოდ.

ერთხელ ზემო ქედში სტუმრად მივიდა მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა მწერალი კონსტანტინე ლორთქიფანიძე. უნდოდა დაწვრილებით შეეხედა კომუნის ცხოვრება და თვით კობა ჩოხელი. ამისათვის კი დრო იყო საჭირო. მეოთხე დღეს დილით კობა თავის სტუმარს ეუბნება: ჩემო კონსტანტინე, სტუმრობის ყველი გაგითავდა, ახლა ან უნდა წახვიდე, ან საშუშაოდ გახვიდე მინდორშიო. კონსტანტინე იძულებული გახდა დღისით მინდორში ემუშავა, ხოლო ღამე ბრაქის შუქზე ეწერა.

პირველ ხანებში კომუნაში 17 ლარიბი ოჯახი გაერთიანდა, მათგან მხოლოდ სამმა კაცმა იცოდა წერა-კითხვა.

პირველივე წლის მოსავალი ბარაქიანი დაუდგათ. მთელი წლის ხარჩო ბელელში დაბინავეს, ყველაფერი საკმარისად მოიმარაგეს, ზედმეტი მოსავალი, საქონელი და ძვირფასი ნივთები გაეყიდეს. ყველაფერი ფულად აქციეს და იმავე წელს ერთი ტრაქტორი და სალეწი მანქანა შეიძინეს.

მალე კომუნაში სოფლის დანარჩენი ღარიბი გლეხობაც შევიდა. ისინი ერთ სახლში, ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდნენ, ერთად ჭამდნენ, მხოლოდ ყველა ოჯახს თავისთვის ცალკე ოთახი ჰქონდა მიჩენილი. ყველა ისე შრომობდა, როგორც შეეძლო. შემოსავალი არ ნაწილდებოდა, მთელი ჭირნახული ერთ ბელელში იყრებოდა. სალაროც საერთო ჰქონდათ. უფასო იყო საჭმელი, სასმელი, ტანისამოსი, კომუნალური მომსახურება.

დღითიდღე იზრდებოდა და ძლიერდებოდა კომუნა.

მაგრამ მტერსაც არ ეძინა, მათი იერიშებიც იზრდებოდა. ხან მოსავალს სწვავდნენ, ხან საქონელს იტაცებდნენ, მწყემსებს ხოცავდნენ... კობასაც მოკვლით ემუქრებოდნენ, ათასგვარ ჭორებს ავრცელებდნენ და კომუნაში შესვლის მსურველებს აშინებდნენ.

კულაკების მიერ გაბრიყვებულმა გლეხებმა მოითხოვეს კომუნიდან გასვლა, თავიანთი ქონებისა და სახლ-კარის დაბრუნება. მაგრამ რა უნდა დაებრუნებინათ, მთელი ეს ქოხმახები და გომურები უკვე დანგრეული იყო, ყველას თავისთვის ოთახი ჰქონდა მიჩენილი კომუნის ახლად აშენებულ ორსართულიან სახლში.

უმაყოფილო გლეხებმა ფილიპე მახარაძეს განცხადებით მიმართეს: კობა ჩოხელი თვითნებობს, ქონება ჩამოგვართვა, სახლები დაგვინგრია, დაგვეხმარეთო. ფილიპე მახარაძემ მათ განცხადებას წააწერა: თანახმად კანონისა სასწრაფოდ დაუბრუნეთ ქონება განცხადებლებს და შესრულება მაცნობეთო.

— თავზარი დამეცა, — იგონებდა კობა, — წესდებით კომუნიდან თუ ვინმე გავიდოდა, სამეურნეო წლის დამლევამდე მას თავისი ქონება არ უნდა დაბრუნებოდა. შემესრულებინა განკარგულება, ეს ნიშნავდა დამერღვია კომუნის წესდება, ამით კი მთელი საქმე იღუპებოდა, დაეცემოდა კომუნისა და ჩემი ავტორიტეტიც.

ბევრი ვიფიქრე, ავწონ-დავწონე, გავითვალისწინე ყველა ის უსიამოვნო შედეგი, რაც ამას შეიძლებოდა მოჰყოლოდა და მაინც იმ განცხადებას წავაწერე: „ვინაიდან ეს განკარგულება კომუნის კანონს ეწინააღმდეგება, უარი ეთქვას“.

მეგობნა ამით დამთავრდებოდა ყველაფერი, ახირებულ მეზობლებს გავაჩუმებდი, მაგრამ მოვტყუვდი, ჩემი რეზოლუცია იმავე დღეს აცნობეს ფ. მახარაძეს.

ფილიპე ძალიან გაბრაზებულა კობას ასეთი რეზოლუციის გამო და, თვითნებობისათვის მისი დასჯა მოუთხოვია. მაგრამ საშა გეგეჭკორი თავდებად დაუდგა თურმე და გადაარჩინა.

მერე საშა გეგეჭკორის რჩევით კობა მისულა სერგო ორჯონიკიძესთან და უთხოვია: ასეთი შეცდომა მომივიდა, ფილიპე მახარაძეს ძალიან ვაწყენინე და როგორმე მიშველეო.

მოიწვიეს პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ბიუროს სხდომა, — ყვებოდა კობა ჩოხელი, — ფილიპემ სხდომას წაუკითხა თავისი განკარგულება და ჩემი რეზოლუციაც. მერე გაიცინო კომუნის წესდებაც და დაუმატა: კობა ჩოხელმა შირაქში ახალი სახელმწიფო შეგვიქმნაო...

მიხა ცხაკაია, რომელიც სხდომას ხელმძღვანელობდა, შემეკითხა, ვინ გითხრა, კომუნა დაიარსეო.

მე არ დამიარსებია-მეთქი.

— მაშ ვინ დაიარსა?

— ლენინმა.

— სად ნახე ლენინი?

— ლენინი არ მინახავს, მაგრამ მისმა წიგნმა მითხრა, რომ სოფლად დასაშვებია კომუნების დაარსება, და ქედშიც დავაარსეთ.

დავამთავრე სიტყვა, და ყველამ ტაში დამიკრა.

გამოპყვეს კომისია საქმის ადგილზე შესამოწმებლად. კომისიაში შევიდნენ მიხა ცხაკაია და შამშე ლეჟავა. კომისია ქედში წავიდა, მე თბილისში დამტოვეს. იქიდან რომ დაბრუნდნენ, ხელახლა მოიწვიეს ბიურო, სადაც გადაწყდა: ჩოხელს შეცდომა უნდა ვაპატიოთ და რითაც შეგვიძლია დავეხმაროთ, რომ კომუნამ იარსებოსო.

დამშვიდებული ჩავედი ზემო ქედში და მეტი ენერგიით, მეტი მონდომებით, მეტი უურადღებით შევუდექი საქმეს.

—როცა მოსავალი დავაბინავეთ, — განაგრძობდა კობა, — მოსკოვიდან მივიღე მოწერილობა, სტალინი მიბარებდა.

ვიფიქრე, ალბათ კიდევ რამეში შევცდი-მეთქი და შევწუხდი. მაგრამ რას ვიზამდი, ჩავედი მოსკოვში. მომიყვანეს სტალინთან. კაბინეტში მარტო იყო. წერდა. წამოდგა. ღიმილით მომეგება, ხელი ჩამომართვა, შემატყო ვლელავდი და მკითხა:

— შენა ხარ კობა ჩოხელი?

— დიახ, მე ვახლავართ.

— როგორი დაღლილი და აღელვებული ჩანხარ, სადგურიდან ფეხით ხომ არ მოხვედი?! დაისვენე და მერე ვილაპარაკოთ, შენთან ცოტა საქმე მაქვს.

წერა განაგრძო. 15 წუთის შემდეგ კალმისტარი დადო, აიღო ჩიბუხი, თუთუნით გატენა და თავისთან ახლოს მიმიწვია.

— მაშ შენა ხარ კობა ჩოხელი? მაინტერესებდა შენი ნახვა. სადაური ხარ?

— დუშეთის მაზრიდან.

— დუშეთის მაზრა დიდია, — და თითქმის ყველა სოფელი ჩამოთვალა. — შენ რომლიდან ხარ?

— მე ჯუღისში ვარ დაბადებული, ფასანაურის მახლობელ სოფელში, ცხოვრებით კი შირაქში ვცხოვრობ.

— მთიული ყოფილხარ. შირაქში რა საქმიანობას ეწევი?

— კომუნის თავმჯდომარე ვარ ზემო ქედში.

— კარგია, როგორ ცხოვრობთ კომუნაში? ხომ არ გიჭირთ რამე?

მეც ყველაფერი დაწვრილებით მოვუყევი. ძალიან დაინტერესდა, ყურადღებით მომისმინა, მერე შემეკითხა: — ფილიპე მახარაძეს ხომ არ იცნობ?

ახლა კი მივხვდი რაშიც იყო საქმე, რატომ ვიყავი, აქ დაბარებული.

— ფილიპე მახარაძეს როგორ არ ვიცნობ, ძალიან კარგად ვიცნობ.

— რა თანამდებობა აქვს, ხომ არ იცი?

— საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეა.

— ყოჩაღ, გცოდნია, მაგრამ თუკი ასე კარგად იცოდი ვინ იყო ფილიპე მახარაძე, რაღათ გაიჯავრე, რატომ არ შეასრულე მისი განკარგულება, მთავრობის წინააღმდეგ როგორ წახვედი?

ყველაფერი დაწვრილებით ვუამბე. მან ბევრი იცინა.

მერე ზარი დარეკა და ერთი კაცი სადგურში გამაყოლა. მან ბილეთი ამიღო, მშვენიერ ვაგონში დამაბინავა, მერე ჯიბეში 30 ჩერვონეცი ჩამიდო... ეს ფული პირადად შენ მოიხმარეო, მითხრა და გამომისტუმრა.

ჩამოვედი ქედში. ეს 30 ჩერვონეცი, რასაკვირველია, კომუნის სალაროში შევიტანე, ამა მე ხომ არ ჩავიდებდი ჯიბეში, მივისაქმ-მოვისაქმიანე და მალე ფილიპემაც გამომიძახა თბილისში.

მან ძალიან თბილად, მიმიღო, მკითხა:

— მოსკოვში იყავი?

— ვიყავი.

— რა გითხრა სტალინმა?

— მითხრა შეცდომა დაგიშვია, მაგრამ ფილიპეს ვთხოვ გამატყის დანაშაული და დაგეხმაროს კიდევაც.

— აბა თქვი, რით დაგეხმარო.

მაშინ ძალიან გვიჭირდა ტანისამოსი, და მეც ტანისამოსი ვთხოვე. გამომიწერა ათი ბარდანა სხვადასხვა ტანსაცმელი. ორი დიდი ურმით ძლივს წავიღეთ.

ასე მიდიოდა დღეები... კომუნა ძალას იკრებდა, და როცა კომუნა კოლმეურნეობად ჩამოყალიბდა, თავმჯდომარედ სოფელმა ისევ ძველი, ნაცადი ხელმძღვანელი კობა ჩოხელი აირჩია, კომუნაში თუ ორას კომლამდე წევრი იყო, ახლა კოლმეურნეობაში მთელი სოფელი გაერთიანდა, კომუნის წესდება ახალმა, საკოლმეურნეო წესდებამ შეცვალა და ცხოვრება ახალ კალაპოტში ჩადგა.

კობა ჩოხელი — აი დიდი და მდიდარი თემა პოემისათვის, რომანისათვის, საკოლმეურნეო მოძრაობის ისტორიისათვის!

ვეფხო აკოგაშვილი.



კომუნის პირველი კრების ოქმის ფოტოპირი.

• • •

ფოთი, შავიზღვისპირეთის ლამაზი ქალაქი მაღალი კულტურით და ნიჭიერი, შრომისმოყვარე ადამიანებით რესპუბლიკის გარეთაც კარგად არის ცნობილი. აქ ოდითგანვე უყვართ მუსიკა, სიმღერა. ალბათ ამიტომაც იყო, რომ ჯერ კიდევ 1933 წელს ფოთში გაიხსნა მუსიკალური სკოლა და მუსიკალური სასწავლებელი, რომლებმაც მეზობელ თუ მორიელ რაიონებს მუსიკალური კადრები აღუზარდეს...

ჩვენ გვინდა კერძოდ შევეხოთ მუსიკალურ სასწავლებელს, რომელიც ყოველწლიურად ათეულობით სპეციალისტს აძლევს ჩვენი რესპუბლიკის მუსიკალურ სკოლებს, საშუალო, ტექნიკურ და ზოგადსაგანმათლებლო სასწავლებლებს.

ფოთის მუსიკალურ სასწავლებელში საფორტეპიანო, საგუნდო-სადირიჟორო, ვოკალური, თეორიული და საორკესტრო განყოფილებებია, სადაც სწავლობენ დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა რაიონის (ასევითი სახის სასწავლებელი დასავლეთ საქართველოში მარტო ქ. ქუთაისშია) მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდები. სასწავლებელიც ნათელ, კეთილმოწყობილ ორსართულიან კაპიტალურ შენობაშია მოთავსებული და მუშაობის ყოველგვარი პირობები აქვს შექმნილი.

მაგრამ, სამწუხაროდ, სასწავლებლის მუშაობაში, განსაკუთრებით მოსწავლეთა მისაღები გამოცდების დროს, ვხვდებით მთელ რიგ უმსგავსობას, სიყალბეს, დამასინჯებს, აბიტურიენტებისადმი არაჯანსაღი მიდგომის ფაქტებს. ამის შედეგიც გახლავთ, რომ გასულ სასწავლო წელს აქ მისაღები 51 მოსწავლის ნაცვლად მიიღეს 47.

რატომ?

ნუთუ არ მოიძებნება უნარიანი ბავშვები? ასეთი ბავშვი, რა თქმა უნდა ცოტა როდი იქნება, მაგრამ საჭიროა მეტი გულისხმიერება, ინდივიდუალური მიდგომა.

ყოველივე ამაში დავრწმუნდით, როდესაც „კომუნისტის“ რედაქციამ მიიღო ამ სასწავლებლის აბიტურიენტის დარეჯან ფიფიას საჩივარი. იგი რედაქციას სწერს:

— ძვირფასო რედაქციავ! საშუალო სკოლიდანვე ვიყავი გატაცებული მუსიკით, სკოლაშიც და შინაც ვსწავლობდი ბუსიკას. სიმღერის ატესტატის მიღებისთანავე ჩავედი ფოთში, რომ მისაღები გამოცდები ჩამებარებინა იქაურ მუსიკალურ სასწავლებელში საფორტეპიანო განყოფილებაზე. ფორტეპიანოში, სოლფეჯიოში (წერა და ზეპირი) მივიღე ნიშანი „4“, ქართულ წერაში „3“ ხოლო ისტორიაში — „2“.

აქვე უნდა, აღვნიშნო, რომ ისტორიის გამომცდელმა ნ. ფაცაციამ მკითხა, თუ საიდან ვიყავი. როცა ვუთხარი, ზუგდიდიდან ვარ-მეთქი, მითხრა: „ოო! ზუგდიდელები შეძლებული ხალხია!“.

მიუხედავად ისტორიაში არადამაკმაყოფილებელი ნიშნის მიღებისა, გული არ გამტეხია და დავიწყე მეცადინეობა მომდევნო წელს გამოცდების ჩასაბარებლად. სამუხაროდ, 1970 წელს მისაღებ გამოცდებზე იგივე ბედი მეწია.

რადგანაც მუსიკალურ სასწავლებელს მოსწავლეები აკლდა, სასწავლებლის დირექციამ შუამდგომლობა აღძრა კულტურის სამინისტროს წინაშე ჩემი და მუსიკის სპეციალობაში ზოგიერთი მოსწავლის დაშვებაზე. მინისტრმა უურად იღო სასწავლებლის დირექციის შუამდგომლობა და მე და კიდევ რამდენიმე დავიშვეს იმ პირობით, თუ იანვარში ქართულ წერასა და ისტორიას ჩავაბარებდით.

აქაც ფოთის კულტურის განყოფილების გამგე, მიმღები კომისიის წევრი ნ. ფაცაცია წინ აღგვიდგა, გთხოვთ გამოარკვიო, რატომ გვიღობავს ნ. ფაცაცია გზას?“.

ბევრი შრომა არ დაგჭირდა დ. ფიფიას განცხადების სისწორის დადგენაში, რადგან პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტში ინახება ერთი ძალიანი საქმე ფოთის მუსიკალური სასწავლებლის შესახებ. საქმის პირველი ფურცლებიდან ირკვევა, რომ სასწავლებელში შექმნილი არაჯანსაღ მდგომარეობაზე პარტიის საქალაქო კომიტეტს მასალები საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროში გადაუგზავნია. სამინისტროს გამოუყენია ავტორიტეტული კომისია სასწავლებელში შექმნილი მდგომარეობის შესასწავლად — თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორ ვ. ფალიაშვილის (თავმჯდომარე), კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელის სასწავლო დაწესებულებათა მეთოდური კაბინეტის დირექტორის ე. კილაძის და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დოკენტის მ. ყანჩელის შემადგენლობით.

მუსიკალური სასწავლებლის მუშაობა და იქ მომხდარი ამბები კომისიას ძირფესვიანად შეუსწავლია და კულტურის სამინისტროში წარუდგენია ნარკვევი მასალა. სანამ კულტურის სამინისტრო მას განიხილავდა, ფოთის საქალაქო კომიტეტს ეს საქმეები გამოუთხოვია (!) და 1970 წლის 11 ნოემბერს ბიუროზე განუხილავს.

როგორც საქალაქო კომიტეტის ბიუროს ამონაწერიდან ვიგებთ, საქალაქო კომიტეტის მუშაკები არც კი დაინტერესებულან კულტურის სამინისტროს მიერ შექმნილი საქმეების

რედაქციაში წერილი მოვიდა

ჩამწარებული ჰანგები

აი რა ხდება ფოთის მუსიკალურ სასწავლებელში

ლის დაშვებაზე. მინისტრმა უურად იღო სასწავლებლის დირექციის შუამდგომლობა და მე და კიდევ რამდენიმე დავიშვეს იმ პირობით, თუ იანვარში ქართულ წერასა და ისტორიას ჩავაბარებდით.

ბევრი ვიფიქრეთ, ალბათ კიდევ რამეში შევცდი-მეთქი და შევწუხდი. მაგრამ რას ვიზამდი, ჩავედი მოსკოვში. მომიყვანეს სტალინთან. კაბინეტში მარტო იყო. წერდა. წამოდგა. ღიმილით მომეგება, ხელი ჩამომართვა, შემატყო ვლელავდი და მკითხა:

— შენა ხარ კობა ჩოხელი?

— დიახ, მე ვახლავართ.

— როგორი დაღლილი და აღელვებული ჩანხარ, სადგურიდან ფეხით ხომ არ მოხვედი?! დაისვენე და მერე ვილაპარაკოთ, შენთან ცოტა საქმე მაქვს.

წერა განაგრძო. 15 წუთის შემდეგ კალმისტარი დადო, აიღო ჩიბუხი, თუთუნით გატენა და თავისთან ახლოს მიმიწვია.

— მაშ შენა ხარ კობა ჩოხელი? მაინტერესებდა შენი ნახვა. სადაური ხარ?

— დუშეთის მაზრიდან.

— დუშეთის მაზრა დიდია, — და თითქმის ყველა სოფელი ჩამოთვალა. — შენ რომლიდან ხარ?

— მე ჯუღისში ვარ დაბადებული, ფასანაურის მახლობელ სოფელში, ცხოვრებით კი შირაქში ვცხოვრობ.

— მთიული ყოფილხარ. შირაქში რა საქმიანობას ეწევი?

— კომუნის თავმჯდომარე ვარ ზემო ქედში.

— კარგია, როგორ ცხოვრობთ კომუნაში? ხომ არ გიჭირთ რამე?

მეც ყველაფერი დაწვრილებით მოვუყევი. ძალიან დაინტერესდა, ყურადღებით მომისმინა, მერე შემეკითხა: — ფილიპე მახარაძეს ხომ არ იცნობ?

ახლა კი მივხვდი რაშიც იყო საქმე, რატომ ვიყავი, აქ დაბარებული.

— ფილიპე მახარაძეს როგორ არ ვიცნობ, ძალიან კარგად ვიცნობ.

— რა თანამდებობა აქვს, ხომ არ იცი?

— საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეა.

— ყოჩაღ, გცოდნია, მაგრამ თუკი ასე კარგად იცოდი ვინ იყო ფილიპე მახარაძე, რაღათ გაიჯავრე, რატომ არ შეასრულე მისი განკარგულება, მთავრობის წინააღმდეგ როგორ წახვედი?

ყველაფერი დაწვრილებით ვუამბე. მან ბევრი იცინა.

მერე ზარი დარეკა და ერთი კაცი სადგურში გამაყოლა. მან ბილეთი ამიღო, მშვენიერ ვაგონში დამაბინავა, მერე ჯიბეში 30 ჩერვონეცი ჩამიდო... ეს ფული პირადად შენ მოიხმარეო, მითხრა და გამომისტუმრა.

ჩამოვედი ქედში. ეს 30 ჩერვონეცი, რასაკვირველია, კომუნის სალაროში შევიტანე, ამა მე ხომ არ ჩავიდებდი ჯიბეში, მივისაქმ-მოვისაქმიანე და მალე ფილიპემაც გამომიძახა თბილისში.

მან ძალიან თბილად, მიმიღო, მკითხა:

— მოსკოვში იყავი?

— ვიყავი.

— რა გითხრა სტალინმა?

— მითხრა შეცდომა დაგიშვია, მაგრამ ფილიპეს ვთხოვ გამატყის დანაშაული და დაგეხმაროს კიდევაც.

— აბა თქვი, რით დაგეხმარო.

მაშინ ძალიან გვიჭირდა ტანისამოსი, და მეც ტანისამოსი ვთხოვე. გამომიწერა ათი ბარდანა სხვადასხვა ტანსაცმელი. ორი დიდი ურმით ძლივს წავიღეთ.

ასე მიდიოდა დღეები... კომუნა ძალას იკრებდა, და როცა კომუნა კოლმეურნეობად ჩამოყალიბდა, თავმჯდომარედ სოფელმა ისევ ძველი, ნაცადი ხელმძღვანელი კობა ჩოხელი აირჩია, კომუნაში თუ ორას კომლამდე წევრი იყო, ახლა კოლმეურნეობაში მთელი სოფელი გაერთიანდა, კომუნის წესდება ახალმა, საკოლმეურნეო წესდებამ შეცვალა და ცხოვრება ახალ კალაპოტში ჩადგა.

კობა ჩოხელი — აი დიდი და მდიდარი თემა პოემისათვის, რომანისათვის, საკოლმეურნეო მოძრაობის ისტორიისათვის!

ვეფხო აკოგაშვილი.

წიგნის თარო

„დიდოსტატის მარჯვენა“ გერმანულად

საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ხალხთა შეკრ ენაზეა თარგმნილი გამოჩენილი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“.

ახლახან „დიდოსტატის მარჯვენა“ გამოვიდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. წიგნი გამოსცა ერთ-ერთმა დიდმა გამომცემლობამ „ფერლაგ ფოლკ“ უნდ ველტ კულტურ უნდ ფორტშრიტ“ („ხალხი და მსოფლიო, კულტურა და პროგრესი“). რომანი ქართული ენიდან გერმანულად თარგმნა ცნობილმა ქართველოლოგმა, პროფესორმა გერტრუდ პეჩმა. წიგნს დართული აქვს ცნობილი გერმანელი მწერლის ალფრედ კურელას წინასიტყვაობა.

ა. ბერშტენგლიტი.

ახალი წიგნები

ირაკლი აბაშიძე — სიტყვები. გზები. ფიქრები. სიტყვების, სტატიების და წერილების კრებული. „ეს სიტყვები და წერილები წლების ძაძილზე სინამდვილესთან პოეტის საქმიანმა ლიტერატურულმა და საზოგადოებრივმა ურთიერთობამ წარმოშვა“, — გვითხულობთ ავტორის წინათქმაში, წიგნის რედაქტორია დ. ჩხიკვიშვილი, მხატვარი დ. დუნდუა. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

ანდრო თევზაძე — გაანახლდა გული. პოეტის ამ ახალ ლირიკულ კრებულში დაბეჭდილია ლექსები 1962-1970 წლებში დაწერილი ლექსები. რედაქტორი ნ. ხომერიკი. გამომცემლობა „მერანი“.

ვლადიმერ თორდუა — მთავარი გმირი. კრებულში დაბეჭდილია რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მხატვრული ნარკვევები. რედაქტორი — დ. შეხელია, მხატვარი ი. ვასილკოვსკი. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა.

რაშიდენ ჩაჩუა — მეგობურები ზღვაზე. ნარკვევი მოგვითხრობს ქართველ მეგობურთა ცხოვრებაზე. რედაქტორი შ ზოიძე, მხატვარი გ. მაისურაძე. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიკა ბარათაშვილი

საგალობელი

შენ ხარ ვენახი მსხმოიარე
ჩვენთა რწმენათა,
ჩვენთა იმედთა, ჩვენთა ყველა
აღმაფრენათა...
შენთვის ვკვდებოდით, მაინც კიდევ
ვალად გვემართა
შენად სიცოცხლე ძეთა შენთა,
შენთა დედათა.
მეც ამ ტაძარში შემოვსულვარ
ერთი მლოცველი,
ვარ მგალობელი ამ სიმაღლის,
ამ საოცრების...
მეც ზღაპარს ვქმნიდი, შვილებს
ვზრდიდი,
ჭაობს ვაშრობდი,
ვარ ომის გმირი, შრომის გმირი,
მძიმედ ნაშრომი,
ვარ მგალობელი დღეთა შენთა
ყველა ქმნილების,
ყველა სიმაღლის, აზრის ყველა
აღორძინების,
ყველა ტკივილიც, მშვენიერის
შენი სხეულის,
გულის ფიცარზე მაქვს აცრილი
და დამჩნეული.
ამ სიმაღლიდან მოჩანს მთელი
უსაზღვროეთი.
გზები განვლილი, სადღეისო,
გზები შორეთის.
მოჩანს ჩემებიც, უცხო ცის ქვეშ
მიმოფანტულნი...
აქეთ მოვუსმობ, მოკიაფე
ლექსის ნათურით.
მოჩანს ბილიკიც... იქით მისი
დასალიერიც...
და მიპყრობს ნატვრა, ერთადერთი
ნატვრა ძლიერი:
სურვილი, ვიყოთ უფრო წმინდა,
უფრო მაღალი...
ჩვენს მწვერვალებზე ვაფრთიანოთ
შთამომავალნი —
ვისაც ვაბარებთ უძვირფასესს,
რაც რამ გვებადა,
ვისაც მოუწევს გადაცემა
ესტაფეტათა,
ვინც საქართველოს უკვდავების
შუქით შემოსავს,
ვინც იტყვის მაღალ საგალობელს
საქართველოსას.
მათ მიელიან დიდებული
საუკუნენი,
გაჩაღებული შუქნიშნებით
და ჯიხურებით...
და მესმის, მესმის, ჩვენს ბრძოლებზე
ქმნიან ლეგენდებს,
მოქალაქენი საუკუნის
ოცდამეათის.

□

დედა

როდის მოვიდა აქ, ამ მიწაზე,
არავის ახსოვს, არავინ უწყის,
შორს გაფრენილან წელიწადები
ლუწი და კენტი, კენტი და ლუწი...
ის კი არწევდა ოცნების აკვანს
და აგროვებდა ზღაპრებს და მითებს...
და საუკუნის ყოვლის წინაშე,
იდგა უცოდველ და მიამიტი.
ნერგებს რომ რგავდა, სტაცებდა
ტალღა
და ისევ რგავდა
და ისევ რგავდა...
თითქო სილაზე დახატულ სახეს
აგორებული ზღვაური ნთქავდა.
დაჰგუგუნებდნენ
საუკუნენი
და დაჰღმუოდნენ ქარიშხალები...
მწარე ნაღველით დაიპურებდა
და ცრემლიანი ჰქონდა თვალები.
სტაცებდნენ შვილებს,
ართმევდნენ რწმენას,
შორეულ გზებზე იყო დევნილი...
ქართული მიწა და დედაენა
უბეში ჰქონდა გამოკერილი.
მისი შვილები სად არ ჩამქრალან,
ქართულ სამარეს არ ღირსებიან...
რამდენ ქეთევანს,
ცოტნეს და შალვას
შორეულ ცისქვეშ დაბინდებია.
გარდაუვლიდნენ წლები დგანდგარით...
მაინც რჩებოდა ბედით — ზღაპრულით.
ბრძოლად დამდგარი,
ლოცვად დამდგარი,
იყო უღრუბლო ცას მონატრული.
სწვავდნენ და ფლეთდნენ,
ჩეხდნენ და სრესდნენ,
გული სტკიოდა,
სისხლი სდიოდა...
და ვით ზღაპარში, გადაჭრილ ფეხსზე
ყლორტი ცხრატოტად ამოდიოდა...,
და ამით იყო ასე უტეხი,
რამდენი ურვა, მხრებით აზიდა...,
ჯიქურ შებმია საუკუნეებს
აკვნით, ანბანით, ხმლით და აზრითა,
რწმენის მაღალის,
აზრის მაღალის,
შუბლზე უნთია თეთრი სანთელი.
ნინო, ქეთევან და თვით თამარი
და არის იგი მთლად საქართველო.

ზორეულ ცის ქვეშ

1. ბერი ანთიმოზ

ქართულ მონასტრებს შორს რომ აგებდით
და სამლოცველოს შორს რომ ინთებდით,
სად გითესიათ თქვენი აზრები,
სად გაბნეულა თქვენი ფიქრები...
სანთლებს ხატების წინ რომ ანთებდით
და აღავლენდით ცისაკენ ლოცვებს,
ქართვლი გესვენათ იმ სახატეში
და ლოცულობდით საქართველოსთვის.
ზეცას შესთხოვდით მარად ალხინოს
ქართული მიწა, ქართველი ერი...
— რაო, რას ამბობს ბერი ანთიმოზ?
— ლოცულობს ანთიმ ივერიელი.

2. წერეთლის ქალი

ქრება სიცოცხლე შორეულ ცისქვეშ
ზემოიმერელ წერეთლის ქალის...
— ო, შემახედეთ ქართული მზისთვის,
შემომასხურეთ ყვირილას წყალი!
რაო, მკურნალმა, სენს რა ჰქვიაო?
ძალა წამართვა, ველარ ვერევი...
— უბრალოდ... მხოლოდ... ნოსტალგიაო
— მოურჩენელი, მოურჩენელი...
სად აფრენილი, ფრთას საით ვკეცავ,
ეჰეი, სად ვკვდები წერეთლის ქალი!
წამით მაჩვენეთ ქართული ზეცა...
შემომასხურეთ ყვირილას წყალი...

3. ამ ღობის მიღმა

იქ, იმ მიწაზე სძინავთ წინაპრებს,
სძინავთ, დაღლილებს ცხარე ომებით.
სათქმელს არავინ არ მიწილადებს —
დადუმებულან სამრეკლოები...
ამ საზღვრის იქით, ამ ღობის მიღმა
გული შემორჩა მავთულს ეკალს.
ამ საზღვრის იქით, ამ ღობის მიღმა
გულიდან სისხლი წვეთავს და წვეთავს...

4. რა შორი გზაა

ვინმე მხატვარი ჯადოსნურ ხელით
დიდ საქართველოს ხატავს და ხატავს...
და მე, მწყურვალი და ფეხშიშველი
მივალ, დავდგები სამშობლოს კართან.
გზა-გზა მოვდივდი ცრემლის ნაკვალევს,
ამ გზებზე გული როგორ გავართო!
ჩემს წინაპარზე ფიქრი მაწვალებს
და საფლავები უმისამართო.
ნეტავ სად ედგა პაპას სახლკარი —
ვის ეკითხო? — ალბათ, აღარც იციან.
ერთხელ მაჩვენეს ჩემი ანბანიც...
ვაი რომ კითხვა გადამვიწყნია!
შემომხვევიან ირგვლივ შვილები —
მათთვის ოცნებით გული ავივსე...
გამეღვიძება და დაეინებით,
პურზე ჯვარს ვსახავ დიასახლისი.



მიტოვებული

გულისტკივილით და გარინდებით
ჩამწყრალებულან კართან შინდები.
ა

დღეს მეტალურგთა ქალაქში

რუსთავი

გვაცნობებენ ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი ზ. მერკვილაძე

დამკვეთი — მსოფლიოს 40 ქვეყანა

მეტალურგიულ ქარხანაში შესვლისთანავე ყურადღებას იპყრობს მსოფლიოს რუკა. მასზე წითლად აღნიშნულია 40-მდე ქვეყანა. ისინი სწორი ხაზებით შეერთებულია წარწერა „რუსთავთან". ეს ნიშნავს: მეტალურგიული პროდუქცია, რომელსაც ქართველი სპეციალისტები ამზადებენ, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში იგზავნება.

ვინ ითვლება ძირითად დამკვეთად? ბულგარეთი, რუმინეთი, ვიეტნამი, ინდოეთი, ირანი, კუბა, კორეა და სხვა ქვეყნები.

ამ დღეებში რუსთაველმა მეტალურგებმა თავიანთი ნახელავი: მილები, მილის ნამზადები და ფურცლები გაუგზავნეს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, რუმინეთსა და ერაყს. საზღვარგარეთიდან ქართველ მეტალურგთა სახელზე არაერთხელ მოსულა მადლობის წერილები.

ენგურჰესისათვის

ამ დღეებში რუსთავის ცემენტის ქარხანამ აითვისა და ენგურჰესის კაშხალის მშენებლობაზე გაგზავნა ახალი სახის სპეციცემენტი — „იგც". ამ პროდუქციაზე ჰიდრომშენებლები დიდ მოთხოვნებს აყენებენ. ამიტომ ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა ახალი მარკის ცემენტი წელს 20 ათასი ტონის რაოდენობით გაუგზავნოს ენგურჰესის მშენებლებს.

სტუმრად

ახლახან ზაპოროჟიედან დაბრუნდა რუსთაველ მშენებელთა დელეგაცია. ქართველი მშენებლები ზაპოროჟიეში მიწვეული იყვნენ „საქართველოს დღის" ზეიმზე. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ სოციალისტური შრომის გმირი შ. მოდებაძე. საბჭოთა კავშირის გმირი კ. უკლება, პარტიის საქალაქო კომიტეტის მრეწველობის განყოფილების გამგე ნ. ბედენაშვილი, მშენებლობის ტრესტის პარტიული კომიტეტის მდივანი ა. მაჭარაშვილი და აღმშენებლობის თავმჯდომარე ს. როსნაძე.

ზაპოროჟიეში ჩატარებულ „საქართველოს დღის" ზეიმზე კონცერტი გამართეს რუსთავის მშენებელთა კლუბთან არსებულმა მხატვრულმა თვითმოქმედების კოლექტივებმა.

რუსთაველ მშენებელთა სტუმრობა ზაპოროჟიეში კიდევ ერთი ფურცელია ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობის ისტორიაში.

ქალაქი — სოფელს

ასამდე მეტალურგი გასულ კვირას გაემგზავრა საგარეჯოს რაიონის სოფელ მანავში. მანავის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობასა და მეტალურგიულ ქარხანას შორის დიდი ხანია დადებულია საშეფო დახმარების ხელშეკრულება. მეტალურგები მანაველებს ეხმარებიან სასოფლო-სამეურნეო იარაღების შეკეთებაში, ნათესებისა და ვაზის დამუშავებაში. სამაგიეროდ მანაველები სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ამარაგებენ მეტალურგებს.

მანავში ამ ბოლო დროს ყოფნისას მეტალურგებმა დაამუშავეს ოთხ ჰექტარზე მეტი ნათესი და რვა ჰექტარი ვენახი.

მწვრილის იუბილე

50 წელი შეუსრულდა რუსთაველ მწერალსა და ჟურნალისტს კ. მუმლაძეს. მის კალამს ეკუთვნის წიგნები „ყირიმის მიწაზე", „მეფოლადის სიყვარული", „ქართველი მეტალურგები", „ელაპარაკეთ ბუდაპეშტს" და სხვ.

ამ დღეებში რუსთავის საზოგადოებრივობამ აღნიშნა კ. მუმლაძის დაბადების 50 წლისთავი. ლიტერატურულ საღამოზე მოხსენებით გამოვიდა მწერალი გ. ნატროშვილი. მწერალს 50 წლისთავი მიულოცეს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა რ. ჯაფარიძემ, სოციალისტური შრომის გმირებმა ა. ძამაშვილმა და ე. კოწიწაშვილმა. პოეტებმა ხ. ბერულავამ, ვ. გორგანელმა, ს. ახვლედიანმა და სხვებმა.

პროფკავშირის საგზურებით

550-ზე მეტმა მეტალურგმა დაისვენა წელს ჩვენი ქვეყნის კურორტებზე. მაგალითად, მარტინის საამქროს მუშა ნ. უგრელიძე იმყოფებოდა ესენტუკში, გ. კობაშვილი — სოჭში, ვ. ბუბუტეიშვილი — წყალტუბოში.

თეატრის პრემიერა

რუსთავის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა მოამზადა და მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა შ. დადიანის „გუშინდელნი".

სპექტაკლში მთავარ როლებს ასრულებენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ვასაძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ლ. ანთაძე, თ. მაისურაძე, ვ. სიხარულიძე და სხვები.

ბავშვების თავისებურად კოლორიტული და ფანტაზიით აღსავსე საყარო ხშირად ხვდება ფოტობიენალეტის ხედვის არეში... „დედა ჩამორჩა"... ასე უწოდა თავის სურათს ფოტომოყვარულმა ვ. ჩხუმიანმა (ზემოთ); ფოტოკორესპონდენტმა ვ. გენგიურმა კი „დედის სიხარული" დაარქვა თავის ეტიუდს (ქვემოთ).

კეთილშობილება, ადამიანობა

ზესტაფონი. (საკ. კორ.). მასწავლებელ ალ. ჩინჩალაძეს საკმაოდ მოზრდილი საკუთარი ბიბლიოთეკა ჰქონდა. მისმა მეუღლემ ეკ. ჩინჩალაძემ ზესტაფონის სარაიონო ბიბლიოთეკას გადასცა დიდძალი წიგნები საოჯახო ბიბლიოთეკიდან.

ახალქალაქი. ამას წინათ შინ რომ ვბრუნდებოდი, საკოლმეურნეო ბაზარში შევუხვიე სანოვაგის შესაძენად. ხელჩანთა, რომელშიც 250 მანეთის ნავაჭრი და კოსტიუმი მქონდა, ამხანაგს მივაბარე. მაგრამ მოხდა ისე, რომ მას დავიწყებოდა წამოღება. შემდეგ, როცა მოვიკითხე, ხელჩანთა აღარსად ჩანდა. მეორე დღეს ისევ ახალქალაქში ვიყავი. უსაზღვროდ გავიხარე, როცა საკოლმეურნეო ბაზრის მუშაკმა ნიკოლოზ შემბარიძემ დაკარგული ნივთები უკლებლივ გადმომცა.

გამოირკვა, რომ უბატრონოდ მიტოვებული ჩანთა შეენიშნა ასპინძის რაიონის სოფელ იდუმალის მცხოვრებს მაგდანა კობაიძეს და რომ არ დაკარგულიყო, ჩაებარებინა ბაზრის მუშაკებისათვის.

ა. ზადიკიანი,
ახალქალაქის რაიონის სოფელ ლომატურცხის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი.

ავარია მოხდა, ერთვერ ჯერ ბიბლიოთეკა

...ვინ ჯერ ის დამნაშავე?

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

სატვირთო ავტომობილით ...ქორწილში

მიმდინარე წლის 20 ივნისს გაზეთ „კომუნისტში" დაიბეჭდა მამხილებელი წერილი სათაურით „სატვირთო ავტომობილით... ქორწილში". წერილი ეხებოდა თიანეთის რაიონის ერწოს მეხორცეობა-მერძეულობის საბჭოთა მეურნეობის მთავარი ინჟინრის ილარიონ აფციაურის მიერ ჩადენილ ბრალდებას. როგორც საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროდან გვაცნობეს ი. აფციაური დაპატიმრებულია. მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრულია თიანეთის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში.

საჭე — ხელიდან ხელში

ღამით გამუდმებით წვიმდა. არც მეორე დღეს გადაიღო. „ეიგული" წყალტუბოს გზაზე მიჰქროდა. შოფერი ცდილობდა დამდგარ გუბეებში არ ეტარებინა მანქანა და სიჩქარის გამოუცვლელად წყალს გვერდს უვლიდა. მოძრაობის წესებში ნათლად არის ნათქვამი, რომ სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლები მოძრაობის სიჩქარეს უნდა ირჩევდნენ საგზაო პირობების, მხედველობისა და ხილვადობის შესაბამისად. ავტომობილი უნდა ატარონ იმ სიჩქარით, რომ უზრუნველყონ მისი გაჩერება ან სიჩქარის დაკლება რაიმე საგზაო საშიშროების წარმოშობისას. მაგრამ წყალტუბოს გზაზე „ეიგული" ტყვიასავით მიჰქროდა. მძღოლმა გვერდი აუარა გზაზე დამდგარ გუბეს და... მომავალ ავტობუსს შეასკდა... ავტომანქანა „ეიგულის" მართავდა თერჯოლის რაიონის ხილის დამზადების პუნქტის მუშა გივი ალექსანდრეს-ძე თედეიშვილი, მანქანაში ისხდნენ მისი დედა შ. თედეიშვილი და მეზობელი ვ. ჭელიძე. სამივენი ადგილზე გარდაიცვალნენ.

ასე საშალალოდ დასრულდა ამ ადამიანების სიცოცხლე.

ავტომანქანა „ეიგული" ეკუთვნის მოსკოვში მცხოვრებ მარია რომანის ასულ პროხორნოვას, რომელმაც ნოტარიუსის წესით მიანდო მანქანის მართვა (?!) თერჯოლის რაიონის ხილის დამზადების პუნქტის გამგეს გიორგი ეპიფანეს-ძე ჭელიძეს.

რათ უნდოდა მინდობილობით მანქანის მოსკოვიდან თერჯოლაში ჩამოყვანა გიორგი ჭელიძეს, როცა არც მანქანის ტარება იცის და, რასაკვირველია, არც მართვის მოწმობა აქვს. ისიც საკითხავია, ნოტარიუსმა როგორ გაიფორმა მინდობილობა გ. ჭელიძეზე, როცა წესით მანქანის მართვის მინდობილობა ეძლევათ იმ პირებს, რომლებსაც საამისო უფლება და გამოცდილება აქვთ.

ბ. გორელი.

მართლმსაჯულებას ვერ ღალატობ

ფოთელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის არასრული საშუალო სკოლის მოსწავლეთა ერთი ჯგუფი სკოლიდან შინ ბრუნდებოდა. ბიჭუნები გზის მარჯვენა მხარეს მიდიოდნენ. უცბად მათ საბარგო ავტომანქანამ დიდი სიჩქარით ჩაუქროლა, მეხუთე კლასის მოსწავლეს მერაბ ქინქაძეს დაეჯახა და გაუჩინარდა. ბავშვი მძიმედ დაიმტვრა, საავადმყოფოში წაიყვანეს.

ავარიის ადგილზე გაჩნდა წოთელწყაროს რაიონის მილიციის ოპერატიული ჯგუფი განყოფილების უფროსის ე. სულაშვილის ხელმძღვანელობით. მაგრამ დამნაშავე ძნელი დასადგენი აღმოჩნდა. გავიდა კარგა ხანი, მაგრამ სისხლის სამართლის საქმე არ იხსნებოდა.... მილიციამ ერთი წლის შემდეგ მიაკვლია დამნაშავეს. იგი აღმოჩნდა სოფელ წოთელი საბათლოს ავტომძღოლი ალბერტ ჩოუშიანი.

წოთელწყაროს რაიონის სახალხო სასამართლომ ამას წინათ გააჩარა ა. ჩოუშიანის სისხლის სამართლის საქმე და მას ორი წლით პატიმრობა მიუსაჯა.

ბ. კაკალაშვილი.

შემთხვევა

გადაარჩინეს...

შუადღისას უეცრად მოიღრუბლა. კოკისპირული წვიმა წამოვიდა, ადიდდა მოხურა და ხერთულა. საჩხერის რაიონის სოფელ მოხვთან ადიდებულ მდინარეში ჩარჩა ავტომანქანა, რომელშიც მარტო მძღოლი გ. მაჭარაშვილი იჯდა. მდინარის ტალღები მანქანაში შედიოდა, მძღოლმა ის მოახერხა, რომ კაბინის თავზე ავიდა, მაგრამ წყალი თანდათან მატულობდა და მანქანა აკვანივით ირწეოდა.

განსაცდელში ჩავარდნილი გ. მაჭარაშვილის მისაშველებლად გაჩნდნენ მოხვის რვაწლიანი სკოლის დირექტორი კ. ხოჯაშვილი, ა. ენუქიძე, ი. ხვედელიძე, ც. კუხიანიძე, თ. ბაძელაძე და ნ. ლაკაბიძე, მათ იშოვნეს ფიცარი, რომელიც გადეს ნაპირსა და კაბინის თავს შუა და გადმოიყვანეს მძღოლი გ. მაჭარაშვილი. მოდიდებულმა წყალმა მანქანა წაიღო. იგი მხოლოდ მეორე დღეს იპოვნეს.

ა. ანასაშვილი.

რედაქტორი
დ. მჟედლიშვილი.

მშობლებს — ბავშვების შესახებ

ბავშვი თუ ავად არის...

ხასიათგებლო რჩევა

ვინ არ იცის, რომ თუ ბავშვი ავად გახდა, წაუხდება მადა, დაერევეა ძილი, დაეკარგება შეძენილი ჩვევები, ადვილად ღიზიანდება. სისწრაფე, რომლითაც მატულობს სიმპტომები, მთი ძნელად ასატანობა დამოკიდებულია დაავადების ხასიათზე, ბავშვის ასაკზე და იმაზე, თუ როგორ წინააღმდეგობას უწევს დაავადებას მისი ორგანიზმი. პნევმონიას, თუ იგი სწრაფად ვითარდება, დიფტერიას, სხვა დაავადებებს შეიძლება რამდენიმე საათის განმავლობაში მეტად მძიმე საერთო მდგომარეობა მოჰყვეს. ასეთ შემთხვევებში საჭიროა ბავშვის გადაუდებელი ჰოსპიტალიზაცია.

და აი აქ ექიმი საკმაოდ ხშირად ხვდება მშობლების არასწორ, წინასწარ აკვიატებულ დამოკიდებულებას საავადმყოფოსადმი. ეს ძნელი ასახსნელი როდია. შინ, ბავშვს რომ უვლიან, ხელს უწყობენ მის კურნალობას, მახლობლები თითქოს თანამონაწილენი ხდებიან ექიმის ზრუნვისა და იყოფენ მის პასუხისმგებლობას. ყველაფერი მათ თვალწინ, მათი ნებართვით ხდება. ამიტომ ბავშვი რომ ტირის, მშვიდად არა სძინავს, მადა რომ არა აქვს, მათ ავადმყოფობის ბუნებრივ შედეგად მიაჩნიათ. ხოლო როცა საჭირო ხდება ბავშვის დაწოლა საავადმყოფოში, მშობლები მას მხედველობიდან კარგავენ და მათ უნებურად აფიქრებთ არა იმდენად მისი მკურნალობა, რამდენადაც მოვლის პრობლემა. და თუ იგივე ბავშვი, მაგრამ უკვე საავადმყოფოს პალატაში, ტირის, ცუდად სძინავს ან ცუდად ჭამს, მახლობლები ამისათვის ხშირად ბრალს სდებენ სამედიცინო პერსონალს, საავადმყოფოს წესებს. მშობლების აზრით ერთადერთი გამოსავალია დედის მოუშორებლად ყოფნა ბავშვთან. ამ ნიადაგზე ხშირად კონფლიქტები და გაუგებრობაც წარმოიმობა ხოლმე.

რა თქმა უნდა, დედის მხრივ მოვლა ზოგჯერ აუცილებელია ხოლმე, განსაკუთრებით ჩვილი ასაკის ან მძიმედ ავადმყოფი ბავშვებისათვის. და, უნდა ითქვას, რომ ექიმები უყარს როდი ამბობენ დედის დახმარებაზე, როცა ეს დახმარება მართლაც საჭიროა, თუმცა ეს ერთგვარ უხერხულობას იწვევს. ხდება ხოლმე, რომ ნათესავები ცდილობენ ჩაერიონ მკურნალობაში, აროვევენ ექიმის დანიშნულ წესებს, ყოველთვის როდი იჩენენ ტაქტს. ასეთი უნებური თუ წინასწარ განზრახული კონტროლი სამედიცინო პერსონალის მოქმედების მიმართ მეტისმეტად არასასურველია. ამასთანავე მოზრდილებმა საბავშვო პალატაში შეიძლება შეიტანონ გრიპი, ანგინა, სხვა ინფექციები. ყოველივე ეს საჭიროს ხდის განყოფილებაში მშობელთა დაშვების ზუსტ რეგლამენტირებას, ხოლო ბავშვების მოვლის დაკისრებას სამედიცინო პერსონალისათვის.

საავადმყოფოს წესების სისასტიკეც ზოგიერთ მშობელს ყალბ წინასწარგანწყობას უქმნის. ალბათ ამიტომ ხდება სამწუხარო შემთხვევები, როცა ბავშვი სტაციონარში შეჰყავთ ძალიან გვიან ან სულაც უარს ამბობენ დაწვინონ იქ, იმიზეზებენ, პატარას იქ უცხო, უცნობი ადამიანები მოუვლიანო, უჩვეულო ვითარება მას ავნებს, სახლი მოენატრებაო.

ვინ შეუდგება იმის მტკიცებას, რომ საავადმყოფოში სჯობს, ან უარესი მაინც არ არის, ვიდრე შინ? უბრალოდ — უნდა გვახსოვდეს მთავარი რამ: სტაციონარში ყოფნა გამოწვეულია უკიდურესი აუცილებლობით. მკურნალობას, სხვადასხვა მანიპულაციებსა და დანიშნულებებს იქ ატარებენ გამოცდილი და მცოდნე სპეციალისტები, რეგულარულად და უფრო ეფექტურად, ვიდრე შინ. თანაც პალატის ან პროცედურების მედდა, რომელიც ზუსტად ასრულებს დანიშნულებებს, გაცილებით უფრო მეტი ავტორიტეტით სარგებლობს ბავშვთან.

ერთ-ერთი მუდმივი საზრუნავია პატარების კვება, საოდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ ბევრ ოჯახს ბუნდოვანი, ზოგჯერ კი არასწორი წარმოდგენა აქვთ პროდუქტების ფიზიოლოგიურ ღირებულებაზე. დედები და ბებიები — იმის ცდაში, რომ ბავშვები რაც შეიძლება კარგად კვებონ, ანალებენ მათ კონცენტრირებულ ბულიონებს, მსუყე საჭმელს, ცომეულს, შოკოლადს, გასაკვირველი როდია, რომ საავადმყოფოს ზომიერი კვება მათ ძალიან მცირე ეჩვენებათ. საბავშვო საავადმყოფოში კვებისას გათვალისწინებულია ასაკი და ავადმყოფი ორგანიზმის ყველა მოთხოვნილება. შემჩნეულია, რომ ჭარბეული ბავშვებიც კი, შინაური დელიკატესებით განებივრებულნი, პალატის კოლექტივში რომ მოხვდებიან, გარდაიქმნებიან და კარგად, მადიანად ჭამენ ყველასთან ერთად. და მაინც არ წყდება იმის ცდები, რომ ბავშვს პერსონალისაგან მალულად აჭამონ. იშვიათი არ არის, რომ მშობლების მიერ ნახვის შემდეგ ბავშვებს უჩნდებათ კუჭ-ნაწლავის მოშლილობა და ეს აჭიანურებს მათს ყოფნას საავადმყოფოში.

ფანჯრებთან მშობლების სიარული ზოგჯერ აუარესებს ავადმყოფი ბავშვის მდგომარეობასა და განწყობილებას, ხელს უშლის პერსონალის მუშაობას. მოზრდილთა შეძახილები ფანჯრებთან იზიდავს ბავშვებს, მათ შორის პატარებსაც და იმათ, ვისი სიარულიც არ შეიძლება.

მშობლებს ხშირად ჰგონიათ, რომ მათს პატარას ზედმეტ ხანს ტოვებენ სტაციონარში, ან ეჩვენებათ, რომ მკურნალობა ეფექტს არ იძლევა და სჯობს შინ გაგრძელდეს. ამხანაგებო, უფრო ენდეთ მკურნალ ექიმს, ის უკეთ ხედავს ბავშვის მდგომარეობასაც და მისი გამოჯანსაღების პერსპექტივებსაც.

ტ. გრიშინი.
ბ. სემიონოვი.
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატები.

სხვა გაზეთებიდან

სასწრაფო დახმარება... დელფინს

ეს შავი ზღვის პირას, ანაპის პლაჟზე მოხდა ზაფხულის ერთ მშვენიერ დილას. ნაპირისაკენ მოცურავდა დელფინი და ყურადღებასაც არ აქცევდა ზღვაში მოცურავე მოგზაურებს. როცა დელფინი ნაპირთან მოცურდა, რამდენიმე კაცი დაეხმარა მას ქვიშაზე ამოსულიყო. ერთბაშად შეგროვდა ხალხი.

საყურორტო პოლიკლინიკა „ანაპის" მეზღვაურმამშველელებმა ს. პლუუნიკოვმა და ვ. ზოტოვმა ცხოველი ხელში აიყვანეს. დელფინს წინააღმდეგობა არ გაუწევია. იგი ნაკვთი გაიყვანეს ზღვაში, მაგრამ როგორც კი წყალში ჩაუშვეს, დელფინი მყისვე ისევ ნაპირისაკენ გაეშურა. ს